ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №40, ნოემბერი, 2017 წელი



წებელდის ციხის ფრაგმენტი

ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი წებელდა მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და მოიცავს ვრცელ ტერიოტირიას მთიანი აფხაზეთის ულამაზეს ხეობაში მდინარე კოდორის შუა და ზემო წყლის აუზში.

VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორები პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი ბიზანტია-სპარსეთის ომთან დაკავშირებით მრავალჯერ იხსენიებენ აფსილეთის მთავარ ციხეს ციბილიუს (ციბილიუმს). თუმცა აღსანიშნავია, რომ წებელდის ციხის ადრეული ფენები IV-V სს თარიღდება. ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრებით სახელწოდება „წებელდა“ და ციხის სახელი ერთი და იგივეა.

იხილეთ მე-7 გვერდი

აფხაზური ენის კვირეული
გვ. 4

ესეების კონკურსი
მასწავლებლები
კონსტიტუციაზე
გვ. 5

საუნივერსიტეტო
დიპლომატიის გზით...
გვ. 6

დიდი კომპოზიტორები
აფხაზეთში
გვ. 9

ნათია თოდუა:
ეს წარმატება დავიმსახურე
სწორედ იმიტომ, რომ
აფხაზეთიდან ვარ!
გვ. 10

სოხუმის ზღვისა და მზის... მონატრებით დამუხტული ბენეფისი

ნატო კორსანტია

აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში საქართველოს სახალხო არტისტის დიმიტრი ჯაიანის ბენეფისი გაიმართა. მსახიობი დამსწრეთ ბენეფისის იდეის ავტორმა და რეჟისორმა გოგი ქავთარაძემ წარუდგინა.

დიმა ჯაიანმა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი ამბები, მოვლენების მისეული შეფასებები გულივით გადაუშალა სოხუმიდან გამოყოლილ თუ აქ, თბილისში შეძენილ ერთგულ მაყურებელს; საყვარელი პოეტების ლექსებითა და საკუთარი სიტყვებით გაუმხილა, თუ რა სტკივა, რა უხარია, რა ადარდებს და რა აიმედებს; ესაუბრა განვლილ გზაზე, პედაგოგებზე, ახლობლებსა და მეგობრებზე, ყველასა და ყველაფერზე, რასაც მის ცხოვრებაში სიყვარული და ერთგულება კრავს და ამთლიანებს.

გზადაგზა ყოველივე ამის თანმდევად ეკრანზე მსახიობის მიერ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე განსახიერებული საუკეთესო როლები გარბოდნენ სპექტაკლებიდან: „დიდოსტატის მარჯვენა“ (მეფე გიორგი), „ბრძოლა ტახტისათვის“ (მეფე ჰოკონ ჰოკონსენი), „მარადისობის კანონი“ (ვახო ამბოკაძე), „ზღვა, რომელიც შორია“ (ზურაბი) და სხვ.

„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად... მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მიღალატნია“.

ბენეფისი დიმიტრი ჯაიანმა მის მიერ ჯერ კიდევ სოხუმში განსახიერებული კონსტანტინე გამსახურდიას მეფე გიორგის ცნობილი მონოლოგით დაიწყო და როგორც არაერთხელ მიუნიშნებია, ამით ახლაც თითქოს თავისი უმთავრესი სათქმელიც გახაზა.

სათქმელი, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ მიერ შესრულებული მეგრული სიმღერა: „დიდოუ ნანა, მებდინაო ჩქიმი ცოდა“...

ასეთი სევდიანი და ჩვენი ქვეყნის ტკივილიანი ისტორიის ამსახველი დასაწყისი ბენეფისისთვის შემთხვევით არ აურჩევიათ რეჟისორსა და მსახიობს. პიროვნების ისტორია ხშირად ქვეყნის ისტორიას გადაეჯაჭვება... და აფხაზეთის ომ- და საკენ-ჭუბერგამოვლილი დიმიტრი ჯაიანიც ვერც თავის ბენეფისში გამოტოვებდა მისი ცხოვრების ნაწილად ქცეულ ამ ამბებს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ღვაწლმოსილთა და წარჩინებულთა მიღება გაიმართა

ირმა გოგოლაძე

ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ აფხაზეთის მთავრობასთან ერთად აფხაზეთის ღვაწლმოსილი პედაგოგებისა და აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული საშუალო სკოლების მედალოსნების მიღება გამართა. მიღებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მანანა ძვაჩახია უძღვებოდა.

აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვახტანგ ყოლბაიამ** და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა** აფხაზეთის ღვაწლმოსილ პედაგოგებს **- მერი გეგეჭკორს, ლენა კიტიას, ეთერ ხახუბიას, გივი ჯომიდავას** და **ბორის შარანგიას** მადლობა გადაუხადეს გაწეული ღვაწლისთვის, ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვეს და სიმბოლური საჩუქრები უსახსოვრეს. შემდეგ ვახტანგ ყოლბაიამ და დიმიტრი ჯაიანმა აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული საშუალო სკოლების 18 წარჩინებულ კურსდამთავრებულს წარმატებები მიულოცეს და მათგან 13-ს ოქროს და 5-ს ვერცხლის მედლები გადასცეს.

დასასრულ გაიმართა სამუშაო შეხვედრა აფხაზეთის საჯარო სკოლების დირექტორებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან თემაზე: „2016-2017 სასწავლო წლის შედეგები და მომავლის გამოწვევები“. შეხვედრას წარმართავდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი **ნინო ლობჟანიძე.** შეხვედრაზე განიხილეს სკოლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, მათ წინაშე არსებული ამ და სხვა საკითხებიდან რა მოგვარდა და რა დარჩა მთავარ გამოწვევად. ასევე ითქვა მოსწავლეების ტრანსპორტირების პრობლემაზე და ა. შ.

დასასრულ პედაგოგებს მიეწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო აფხაზეთის საჯარო სკოლების X-XI კლასელებისთვის ილია ვეკუას სახელობის მათემატიკური ოლიმპიადის ჩატარებას გეგმავს. ოლიმპიადა დიდ მეცნიერის იუბილეს მიეძღვნება.

ხსოვნისა და მოგონების საღამო

ეკატერინე გადილია

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა ილია ჭავჭავაძის 180 წლისთავს საღამო „მამული, ენა, სარწმუნოება“ მიუძღვნა. თავდაპირველად ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ ეპიზოდებზე ისაუბრა ლიტერატორმა თამაზ ტყემალაძემ.

კომპოზიტორმა გიორგი შავერზაშვილმა კი რევაზ ლაღიძის სიმღერის „ჩემო კარგო ქვეყანავ“ თემაზე კომპოზიცია შეასრულა.

შემდეგ საღამო ილია ჭავჭავაძისა და „საგურამოს“ პრემიების ლაურეატის პოეტ **გენო კალანდიას** ლექსთა კრებულის „საგალობლები უფლისთვის“ წარდგენით გაგრძელდა. ეს არის კრებული, რომლის გამოსვლას პოეტი, საბედნიეროდ, მოესწრო, მკითხველისთვის მის წარდგენას კი ვერა. ამდენად, საღამოზე კრებულის გამოცემის სიხარულს მისი ავტორის არყოფნის სევდა გასდევდა. კრებულზე „საგალობლები უფლისთვის“ ღრმად და საინტერესოდ ისაუბრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **მარინა ტურავამ,** ხოლო საგალობლები წაიკითხა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა.** როგორც საგალობლებზე, ისე ზოგადად გენო კალანდიას პოეზიის განუმეორებელ ხიბლზე ისაუბრა მწერალმა და კრიტიკოსმა **მაკა ჯოხაძემ.** მათ არაჩვეულებრივად თქვეს იმაზე, რომ „საგალობლები უფლისთვის“ გენო კალანდიასთვის თითქოს იმქვეყნად გადასვლის ერთგვარი შემზადება აღმოჩნდა, რაც პოეტმა არაერთი წინასწარმეტყველური შესანიშნავი სტრიქონით გამოხატა, მათ შორის ამითაც: „ვემშვიდობები უფალო ლოცვით მიწას, რომელმაც მაქცია კაცად“.

გენო კალანდია მოიგონეს ასევე **არნოლდ გეგეჭკორმა, თემურ შაშიაშვილმა** და სხვ. საღამოს უძღვებოდა **მამა ადამი (ახალაძე).** საღამოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ელგუჯა (გია) გვაზავა,** გენო კალანდიას ოჯახის წევრები და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აქვე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა **რევაზ თავაძემ** წარადგინა პიანისტთა თბილისის მეექვსე საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული **გიორგი გიგაშვილი,** რომელმაც ლისტის „სამგლოვიარო სვლა“ ციკლიდან „პოეტური და რელიგიური ჰარმონიები“ შეასრულა, რაც დამსწრეთა იმდღევანდელ განწყობასაც ეხმიანებოდა.

ზურაბ სოტკილავას ხსოვნას!

განუსაზღვრელად დიდია მსოფლიოში აღიარებული ტენორის, არაერთი პრემიის ლაურეატის, ბოლონიის უძველესი სამუსიკო აკადემიის საპატიო წევრის **ზურაბ სოტკილავას** გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება.

შეუძლებელია, არ ითქვას, რომ ცნობილი საოპერო პარტიების, ქართული ფოლკლორის უბადლო შემსრულებელი უჩვეულო პიროვნული ხიბლით, თავმდაბლობითა და მოკრძალებით გამოირჩეოდა.

ზურაბ სოტკილავა სოხუმში დაიბადა. თავად ამბობდა, რომ სწორედ ამ ქალაქში ფოლკლორზე და ქალაქურ სიმღერებზე გაიზარდა, პირველი საოპერო კონცერტიც აქ, თბილისის ოპერის თეატრის გასტროლებისას მოისმინა. არაერთხელ გადატყავებია მუხლი სოხუმის მინდვრებზე ფეხბურთის თამაშისას, რასაც ყოველთვის ზღვის პირას გასეირნება მოსდევდა.

ამიტომაც განიცდიდა ძალიან სოხუმში, საერთოდ, აფხაზეთში მოსალოდნელ განსაცდელს. ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე, სოხუმელებს უკანასკნელად უმღერა და ლამის დაუჩოქა, გევედრებით, მეგობრულად იცხოვრეთო! მაგრამ... ეს ვერ მოხერხდა!

ამის შემდეგ პროტესტის ნიშნად იქ არ ჩასულა, არადა, მშობლების საფლავთან მისვლაზე ოცნებობდა.

გვწამს და გვჯერა, რომ ამიერიდან მაინც მისი სული ასე მონატრებული მშობლებისა და ახლობლების სულს ზეციურ საქართველოში შეუერთდება!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

სოხუმის ზღვისა და მზის... მონატრებით დამუხტული ბენეფისი

ნატო კორსანტია

დასაწყისი I გვერდზე.

„საკენ-ჭუბერის გზა, ეს მართლა გოლგოთა იყო, ომზე დიდი საშინელება. დაფიცებული მაქვს, რომ ამ გზაზე არასოდეს მოვყვე. არ მინდა, ხალხმა ბოლომდე იცოდეს ის, რაც იქ ხდებოდა. ომი, ჩემი აზრით, იმიტომ არის საშინელება, რომ სიკვდილი უფასურდება. ვაჟა-ფშაველა მახსენდება: „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“... ბევრი ვაჟკაცი დააკლდა სოხუმს, ქალაქს, „სადაც სხვანაირად წვიმს, ზღვას სხვა სუნი ასდის, სხვანაირად სველდებიან“.

დღეს კიდევ ერთი შემზარავი ამბავი მოვიდა მოსკოვიდან: ნაღდი სოხუმელი, დიდი ზურაბ სოტკილავა გარდაიცვალა. წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მის ხსოვნას“...

წუთიერი დუმილის შემდეგ დიმიტრი ჯაიანმა ზურაბ სოტკილავასა და აფხაზეთის ომში დაღუპული ბიჭების ხსოვნის პატივსაცემად მურმან ლებანიძის მიერ გურამ თიკანაძისადმი მიძღვნილი ცნობილი ლექსი ,,-ვოი! რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!“ წაიკითხა. ლექსს აკომპანემენტს ისევ ანსამბლი „აფხაზეთი“ უწევდა გულსა და სულში ჩამწვდომი დატირებით „ვეფხო“ (სოლისტი სოფო ქირია).

„...ჩაუქი მკვდარიც ჩაუქია -
ვარსკვლავი
ვარსკვლავებს მომწყდარა!“

ახლა ამაზე უკეთ ვერც ერთი ფრაზა ვერ დაიტევდა დიმიტრი ჯაიანთან ერთად მთელი საქართველოს წუხილს...

დიმიტრი ჯაიანი ამ ბენეფისზეც არაერთხელ იტყვის, რომ თავის უმთავრეს სადარდელად აფხაზეთი მიაჩნია, ამ სადარდელის ხელოვნების ენით საუკეთესო გამომხატველად კი კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგმული სპექტაკლი „ზღვა რომელიც შორია“, რომელშიც თავად ქართველი ზურაბის როლს ასრულებდა.

„თემურ ჩხეიძემ სოხუმის თეატრს დევნილობაში აჩუქა სპექტაკლი, რომელიც არის პროგრამა, როგორ დავბრუნდეთ აფხაზეთში, ჩვენს სოხუმში. პიესის ავტორი, იცით, გურამ ოდიშარია იყო. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ არ მოინდომა, ეს სპექტაკლი სოხუმში ჩაგვეტანა და იქ გვეთამაშა. ამ სპექტაკლს უფრო დიდი საქმის გაკეთება შეეძლო, ვიდრე პოლიტიკოსებს, მაგრამ ვიღაცას ეს არ უნდოდა“...

და რა სამწუხაროა, რომ ვიღაცამ არ მოინდომა, სოხუმს ისევ გაეხსენებინა კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრი, რომელმაც თავის დროზე დიდი კვალი დაატყო ქალაქის კულტურულ ცხოვრებას.

„სოხუმის თეატრის ოქროს ხანა სოხუმში გოგი ქავთარაძის სახელს უკავშირდება. მას, როგორც მსახიობსა და რეჟისორს ბრწყინვალე სეზონები ჰქონდა რუსთაველის თეატრში, ქუთაისში... მაგრამ მისი შემოქმედების გვირგვინი იყო სოხუმი. იმ პერიოდში ჩვენ შემოვიარეთ ყოფილი საბჭოეთის თითქმის ყველა ქალაქი - პეტერბურგი, კიევი, მინსკი, რიგა და ა. შ. 7-8 სპექტაკლი მიგვქონდა და სამი-ოთხი თვე ვრჩებოდით. დაუვიწყარია იქაური ემოციები, ოვაციები, შეფასებები“...

ისევ პოეტური პაუზის დრო დგება და დიმიტრი ჯაიანი გალაკტიონის „გურიის მთებს“ კითხულობს. შემდეგ იგონებს იმ ადამიანებს, რომლებმაც მისი ცხოვრების გზა განსაზღვრეს.

„უმადურობა საშინელებაა, მე ვარ კაცი, რომელიც უმადურობას ვერასოდეს შეეგუება. თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც დავამთავრე, საშა მიქელაძე მყავდა პედაგოგად და ამის გამო უბედნიერესად ვგრძნობდი ყოველთვის თავს. უაღრესად განათლებული ადამიანი ნუგზარ ლორთქიფანიძე იყო მისი ასისტენტი - ჩემი გამზრდელი.

იქ იყო გურამ საღარაძე, რომელიც გასწავლიდა თუ არ გასწავლიდა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა; შოთა სხირტლაძე, ეთერ გუგუშვილი, ვასო კიკნაძე, ნადია შალუტაშვილი, იური ზარეცკი, არ მინდა ვინმე გამომრჩეს“...

დიმიტრი ჯაიანს სხვა დროსაც არაერთხელ და დიდი სიამაყით უთქვამს, რომ მას სოხუმის თეატრის გარდა, სხვაგან არსად უმუშავნია და რომ ბედმა გაუღიმა, რომ ამ თეატრში მოხვდა გამორჩეული მსახიობებისა და რეჟისორების გვერდით. ეს ყველაფერი დღეს მისი უმთავრესი სიმდიდრეა.

„ჩემს დროს სოხუმში ჩამოვიდა რეჟისორი დავით კობახიძე, რომელსაც ორი შესანიშნავი სეზონი ჰქონდა იქ. შემდეგ მოვიდა დათო ცისკარიშვილი, ვაჟკაცური პიროვნება. სამი წელი იმუშავა სოხუმის თეატრში მაესტრო იური კაკულიამ, რომელიც დღემდე სათანადოდ არ არის დაფასებული. მან იქ საოცარი სპექტაკლები დადგა, ოქროს ფონდში შეტანილი სპექტაკლები.

მერე სოხუმში სიტუაცია დაიძაბა... თქვეს, რომ იური კაკულიაზე უფრო დიპლომატი გოგი ქავთარაძეაო და გოგი ჩამოიყვანეს. სოხუმის თეატრის ოქროს ხანაც მაშინ დაიწყო.

მე უბედნიერესი კაცი ვარ, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, რაც მინდოდა, ყველა როლი ვითამაშე. ზოგიერთი მსახიობი, ჩემზე ბევრად ნიჭიერი ოცნებობს როლზე და ვერ თამაშობს.

ქუდბედიანობაც ამას ჰქვია, ისეთ თეატრში მოვხვდი, როგორიც სოხუმის თეატრია. როგორც სოხუმი იყო კაცების ქალაქი, ისე სოხუმის თეატრი იყო კაცების თეატრი. სოხუმელები მიმიხვდებიან, რასაც ვამბობ. ჩემი გიზო სიხარულიძე და ჩემი ბახა ბექაური, რომლებიც ცოცხლები არ არიან, სხვები და სხვები რომ გამოვიდოდნენ თეატრის შენობის წინ, ამით ყველაფერი ნათქვამი იყო“...

სამწუხაროდ, სოხუმის თეატრის სოხუმური ისტორია აქ დასრულდა და დაიწყო დევნილობის მძიმე წლები.

„თქვენ ყველამ იცით, რა გააკეთა რუსთაველის თეატრმა სოხუმის თეატრისთვის. რობერტ სტურუამ და თეატრის მთელმა დასმა თავიდანვე შვილივით გულში ჩაიხუტა ჩვენი თეატრი და ცხრა წლის განმავლობაში სანაცვლოდ არანაირი საზღაური არ მოუთხოვიათ. ეს არის რობიკო სტურუას დიდი დამსახურება და ამის დავიწყებას ღმერთი არ მაპატიებს“...

შეიძლება, ამ სათქმელს აგრძელებდა ან სულაც სხვას (თუმცა ახლა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა) მუხრან მაჭავარიანის ლექსი:

„მატარებლიდან მოვკარი თვალი,
მუხლამდე წყალში ბიჭები დგანან“...

და მიუხედავად „მუხლამდე წყალში დგომისა“,

„სოხუმის თეატრი დღესაც ფეხზე დგას. საკუთარი ჭერის გარეშე დარჩენილი და წლების განმავლობაში ხან ვის და ხან ვის შეკედლებული თეატრის ცხოვრებაში კარგი სიახლეა: მას უკვე აქვს სარეპეტიციო დარბაზი, თანაც მალე სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრთან ერთად საკუთარი სცენაც ექნება. ეს ყველაფერი კი ერთი ადამიანის - აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ვახტანგ ყოლბაიას მხარდაჭერითა და ძალისხმევით მოხდა“.



ზურაბი, გურამ ოდიშარიას „ზღვა, რომელიც შორია“, რეჟისორი თემურ ჩხეიძე

და დიმიტრი ჯაიანმა სცენაზე უხმო თავად ვახტანგ ყოლბაიას, რომელმაც ხაზი გაუსვა დიმიტრი ჯაიანის როგორც სამსახიობო ხელოვნებას, ისე მისი როგორც აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის წვლილს ამ სამინისტროს განახლებისა და აღორძინების გზაზე.

„ბატონ დიმიტრიზე ძალიან ბევრის თქმა შეიძლება. თუმცა მასზე ისედაც ბევრს ამბობენ კადრები, სცენები სპექტაკლებიდან, რომლებსაც ჩვენ აქ ვუყურებთ. დღეს აქ ვერ ნახავთ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „აფხაზეთის“ მიერ შესრულებულ ცეკვებს, ვერ მოუსმენთ აფხაზეთის საგუნდო კაპელას, ვერ დაათვალიერებთ ჩვენი მხატვრების ნამუშევრებს და ა. შ. რომელთაც დიმამ თავისი მენეჯერული ნიჭით განსაკუთრებული ხიბლი შესძინა. თითქმის მსოფლიომ იცის, რომ ამასთან ერთად დღეს თბილისში არსებობს კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი და ამ ყველაფერს დიმიტრი ჯაიანის ცხოვრება და შემოქმედება ჰქვია.

მე მას ახალგაზრდობიდან ვიცნობ, როცა ის სოხუმში (თეატრის გარდა) თითქმის ყველა ღონისძიებაზე, რაც იქ ტარდებოდა, გამოდიოდა და განსაკუთრებული ხიბლს სძენდა იქაურობას. ჩვენ აქაც ხშირად ვუყურებთ და ვტკბებით, როგორ იწვის იგი სცენაზე. სწორად გამიგეთ და ყოველთვის მიკვირს, როგორ უძლებს ამდენ ემოციას, ამდენ გულწრფელობას მისი მტკივნეული გული.

ჩემო დიმა, შენ ხარ მართალი და მადლიერებით სავსე კაცი, გულით მოგაქვს სათქმელი ჩვენამდე და ალბათ, ამიტომაც გამოგდის ასე კარგად ყველაფერი. და მე, როგორც ერთმა ადამიანმა, მადლობა მინდა გითხრა ამისთვის“.

დიმიტრი ჯაიანის ბენეფისს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ ,,აფხაზეთის“ მიერ შესრულებული სიმღერები უფრო მეტ ემოციას მატებდა. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად ლევან ღვინჯილია სწორედ დიმიტრი ჯაიანის აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრობისას მოვიდა, რის შემდეგაც კიდევ უფრო დაიხვეწა ანსამბლის საშემსრულებლო ხელოვნება, გამდიდრდა რეპერტუარი, მოიმატა მისმა პოპულარობამ. ამდენად, ბუნებრივი იყო ლევან ღვინჯილიას გამოჩენაც სცენაზე:

„პოეზია, სიმღერა და ცეკვა - ქართველი კაცის სული და გულია. ქართული პოეზია - მეგრული, სვანური, ლაზური და ა.შ. პოეზიისგანაც შედგება და ჩვენ ახლა გვინდა მეგრული ლექსი წარმოგიდგინოთ. მეც ვუერთდები ზურაბ სოტკილავას გარდაცვალებით გამოწვეულ გულისტკივილს. ზურაბ სოტკილავა სოფელ ოტობაიაში დაიბადა და ახლა აგრეთვე ოტობაიელი გური ოტობაიას ლექსს „გვიმარა“ (გვიმრა) წარმოგიდგენთ დიმა ჯაიანი ჩვენი ანსამბლის მიერ შესრულებული „ოუ, ნანას“ აკომპანემენტით.

ამბობენ, სადღაც ტყეებში გვიმრას უზარმაზარი ხეები სახლობენო, ჩვენთან კი ეს მცენარე პატარაა. ლექსის აზრი ასეთია: სალოცავი ხე იყავი და დაჩიავდი გვიმრაო. ძალიან ძლიერი ფილოსოფიური სიღრმის ლექსია იმაზე, რაც ოდესღაც დიდებული იყო და მერე დაკნინდა. ჩემი აზრით, ეს არის ალეგორია, დაახლოებით ვაჟას „არწივის“ დონის ალეგორია. ლექსის ბოლოში პოეტი გვიმრას შესძახებს: ისევ აღსდექი! ისევ გაიშალე! ისევ წამოიმართეო! და ნახავთ როგორი სიძლიერითა და ოსტატობით შესძახებს ამას დიმიტრი ჯაიანი წარმოდგენის დროს“.

„... გემწოდირთი, გემწოჟვენგი,
გემწოსოფი, გვიმარა!..“
(წამოდექი და რტოები
წამოხეთქე, გვიმარა!)

მართლაც, შთამბეჭდავად წარმოადგინა ეს შეძახილი დიმიტრი ჯაიანმა, რაც მაყურებლის ოვაციამაც ცხადყო.

ძნელია, როცა შენს მიერ გავლილ წლებს, შემოქმედებით ცხოვრებას აჯამებ და ამ პერიოდში შენს გვერდით მდგომ ადამიანებს იგონებ, ვინმე არ გამოგრჩეს, დიმიტრი ჯაიანსაც ჰქონდა ეს შიში.

„არ შემიძლია, არ გავიხსენო უბრწყინვალესი მაესტრო გიზო ჟორდანია, რომელიც მთელ საქართველოს დააკლდა. დაუვიწყარია მისი ჩამობრძანება სოხუმში, როცა ჩვენი თეატრის ახალი შენობა გაიხსნა და მას კონსტანტინე გამსახურდიას სახელი მივანიჭეთ. მაშინ გოგი ქავთარაძემ არაჩვეულებრივი ჟესტი გააკეთა, პირველი სპექტაკლის დასადგმელად უხმო გიზო ჟორდანიას, რომელმაც „მარადისობის კანონი“ დადგა, უბრწყინვალესი სპექტაკლი. სხვა თეატრებისგან განსხვავებით, მან აქ შემოიყვანა ვახო ამბოკაძის პერსონაჟი, რომლის განსახიერებაც მე მერგო წილად. ეს როლი შემდეგ ჩემს ერთ-ერთ უსაყვარლეს როლად იქცა. ბატონმა გიზომ მაშინ უდიდესი ზეიმი მოგვიწყო, როგორც მას ეს ჩვეოდა.

ზემოთ ზურიკო სოტკილავა ვახსენე, ის და გიზო ჟორდანია მეგობრები იყვნენ და მჯერა, ზეციურ საქართველოში აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს“.

შემდეგ დიმიტრი ჯაიანი ისევ დარბაზს ავლებს მზერას, ძალიან ბევრ ახლობელ სახეს ვხედავო ამბობს და ზოგიერთს ჩამოთვლის კიდეც: ნუკრი ქანთარია, დათო საყვარელიძე, კოტე აბაშიძე... განსაკუთრებით კი ქალები ჭარბობენ და ერთ ლექსს საგანგებოდ მათ მივუძღვნიო.

ანსამბლმა „აფხაზეთმა“ „თუ ასე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი, ქალაო“... წამოიწყო, დიმიტრი ჯაიანმა კი რეზო ამაშუკელის ლექსი **„ხატობას აველ, შუაფხოს მზე ზანზალაკად ეკიდა“** ააყოლა...

ბენეფისი დასასრულს უახლოვდებოდა. მოსაგონარსა და მოსაფერებელს, აბა, ერთი საღამო როგორ ამოწურავდა, მაგრამ საყვარელ მაყურებელთან ვერც ეს შეხვედრა დამთავრდებოდა შოთა ნიშნიანიძის „აფხაზური კანტატას“ გარეშე:

„ო, საქართველოვ, ბევრი კარგი შვილის გამზრდელო, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“...

ამ ლექსის წაკითხვისას დიმიტრი ჯაიანი ყოველთვის ბოლომდე იხარჯება და ასე იყო ახლაც.

ბენეფისის კულმინაციად მორის ფოცხიშვილის ლექსი „ვფიცავ!“ იქცა:

როგორც არ უნდა მიჭირდეს!
როგორც არ უნდა მილხინდეს!..
სამშობლო! საქართველო!
შენი ერთგული ვიქნები!“

დიმიტრი ჯაიანის უმთავრესი სათქმელიც ამ ბენეფისზე (და საერთოდაც) ხომ ეს იყო....

აფხაზური ენის კვირეული

იმისთვის, რომ „ერთად ყლერდეს ჩონგური და აფხიარცა"

ნინო გრიგოლია

აფხაზურ ენას საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქართულთან ერთად, მეორე სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება აფხაზური ენის წინაშე ვალდებულებას მუდმივად გრძნობს და მის დაცვასა და განვითარებაზე ზრუნავს. სწორედ ამ თვალსაზრისით 2007 წლიდან აფხაზური ენის დღედ 27 ოქტომბერი დაწესდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან და აფხაზეთის საჯარო სკოლებთან ერთად ყოველწლიურად კვირეულის სახით, მასშტაბურად ეხმაურება ამ თარიღს. წლეულსაც ასე იყო.

აფხაზეთის №2 საჯარო სკოლაში

თბილისში, ჯუმბერ ბეთაშვილის სახელობის აფხაზეთის №2 საჯარო სკოლაში აფხაზური ენის კვირეულის პირველ დღეს ქართული ენისა **(ლელა თოდუა)** და აფხაზური ენის **(დარეჯან თაყაიშვილი)** პედაგოგებმა მოსწავლეებთან ერთად გამართეს დისკუსია თემაზე „ქართული და აფხაზური ლიტერატურული ნაწარმოებების შედარებითი ანალიზი". მათ ისაუბრეს ქართველ მწერლებზე, რომელთა ნაწარმოებებში აღწერილია ქართულ-აფხაზური ტრადიციები (აკ. წერეთლის „გამზრდელი", ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბა", კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება", შ. ნიშნიანიძის „აფხაზური კანტატა"). ამავე დროს მოსწავლეებმა წაიკითხეს ვაჟა ფშაველას ლექსები აფხაზურ ენაზე.

„საუბრები აფხაზურ ფოლკლორზე" – (აფხაზური ხალხური სიმღერებისა და საკრავების მაგალითზე) - ამ თემით გაგრძელდა აფხაზეთის მეორე საჯარო სკოლაში აფხაზური ენის კვირეული. სკოლის მუსიკის პედაგოგმა **ზურაბ კვერნაძემ** ვრცლად ისაუბრა აფხაზური ფოლკლორისა და აფხაზური ხალხური საკრავების მნიშვნელობაზე, მათი შექმნის ისტორიაზე და მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა. შეხვედრის ბოლოს მოსწავლეებმა აფხაზური ხალხური სიმღერები შეასრულეს.

აფხაზეთის №7 საჯარო სკოლაში

აფხაზური ენის კვირეული სენაკში, თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლაში აფხაზური ენის სწავლების მნიშვნელობაზე საუბრით გაიხსნა. ეს სკოლა ერთ-ერთი იმათგანია, სადაც საშუალო საფეხურის მოსწავლეები აფხაზურ ენას ეუფლებიან. მოსწავლეებმა კვირეულის ფარგლებში წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია - „ერთად ყლერდეს ჩონგური და აფხიარცა". კომპოზიცია მოიცავდა ქართველი პოეტების აფხაზეთისადმი მიძღვნილ ლექსებსა და სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობით შესრულებულ აფხაზურ და ქართულ ცეკვებს.

მათ ასევე აფხაზური ენის კვირეულის დახურვასთან დაკავშირებით აფხაზურ ენაზე წარმოადგინეს აკაკი წერეთლის „გამზრდელის" მიხედვით დადგმული მინი-სპექტაკლი. სპექტაკლს მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

დიმიტრი გულიას ძეგლთან

27 ოქტომბერს, ტრადიციისამებრ, აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას ძეგლი ყვავილებით შეამკეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვახტანგ ყოლბაიამ,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **ელგუჯა (გია) გვაზავამ,** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ **პეტრე კანკავამ,** აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა,** პროფესორმა და აფხაზოლოგმა **თეიმურაზ გვანცელაძემ,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დიმიტრი გულიას ძეგლთან აფხაზურ ენაზე ლექსები წაიკითხეს.

დასკვნითი საღამო

დიმიტრი გულიას ძეგლის ყვავილებით შემკობის შემდეგ ყველამ ერთად გადაინაცვლა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, ვალერი არქანიას არტ გალერეაში, სადაც აფხაზური ენის კვირეულის დასკვნითი საღამო გაიმართა.

აქ აფხაზური ენის მნიშვნელობაზე, მისი დაცვისა და განვითარების, ქართულ სკოლებში სწავლების თვალსაზრისით არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვახტანგ ყოლბაიამ,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა,** პროფესორმა და აფხაზოლოგმა **თეიმურაზ გვანცელაძემ.** აფხაზმა ჟურნალისტმა **ირმა ოსიამ** აფხაზური ენის სწავლების მნიშვნელობაზე საუბრისას თქვა: - ძალიან ბევრი მეკითხება, რა საჭიროა აფხაზური ენის სწავლა, რას გვაძლევს? მე ვპასუხობ, რომ აფხაზური ენა ვალდებულებისთვის კი არ უნდა ვისწავლოთ, არამედ იმისთვის, რომ ერთმანეთს მოვესიყვარულოთ და დაველაპარაკოთ რუსული და ინგლისური ენების გარეშე. აფხაზური ენა უნდა ვიცოდეთ ერთმანეთისთვის სიყვარულის ასახსნელად. შეხვედრას უძღვებოდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **მანანა ქვაჩახია.**

დარბაზში გამოფენილი იყო აფხაზეთის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ აფხაზურ ენაზე შექმნილი საინტერესო კალიგრაფიული ნამუშევრები. მოსწავლეებმა ასევე წარმოადგინეს აფხაზეთის თემატიკისადმი მიძღვნილი მუსიკალური კომპოზიცია.

დარბაზში საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული აფხაზურ ენაზე გამოცემული წიგნების კოლექცია იყო გამოფენილი.

დღის ბოლოს, აფხაზური ენის დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ საგანგებო მილოცვა გაავრცელა.

აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა

საქართველოს პრემიერ მინისტრის **გიორგი კვირიკაშვილის** 27 ოქტომბრის განცხადების პასუხად, იმდღესვე აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მიზნით მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მაშინდელმა მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა **ქეთევან ციხელაშვილმა.**

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთიანი ძალისხმევით იზრუნებენ აფხაზური ენის დაცვის, შენარჩუნების, განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის. ასევე ხელს შეუწყობენ შესაბამის საკითხებზე მომუშავე ქართველი და აფხაზი სპეციალისტებისა და პროფესიული ჯგუფების თანამშრომლობასა და ორმხრივი ნდობის პროექტების განხორციელებას.

მემორანდუმის ხელმოწერას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა (გია) გვაზავა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, აფხაზური ენის კვლევით დაინტერესებული სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მილოცვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ენის დღეს ულოცავს აფხაზ თანამემამულეებს და სრულიად საქართველოს.

ენა - თვითგამოხატვის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა და მისი მოვლა-პატრონობა ყველა ჩვენგანის ვალია. სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველოს მთავრობა სახელმწიფო რანგში აყვანილი პოლიტიკის ფარგლებში იცავს და ზრუნავს საქართველოში არსებული ნებისმიერი ენის განვითარებაზე, რითაც კაცობრიობის ინტელექტუალურ საგანძურში არც თუ ისე მოკრძალებული წვლილი შეაქვს.

აფხაზური ენა, ქართულ ენასთან ერთად აფხაზეთში სახელმწიფო ენას წარმოადგენს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, დევნილობაში დაქვემდებარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისევე როგორც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისწავლება აფხაზური ენა და ფუნქციონირებს კათედრაც. არაერთი მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოები ითარგმნა აფხაზურ ენაზე და ამ მიმართულებით მუშაობა ყოველწლიურად უფრო ინტენსიური ხდება. საქართველო არის აფხაზური ენის განვითარების და მსოფლიო ენათა ოჯახში თავისი ადგილის დამკვიდრების გარანტორი.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ აფხაზურ საზოგადოებას და მთელ საქართველოს მოსახლეობას 27 ოქტომბერს - აფხაზური ენის დღეს და იმედს გამოვთქვამთ, რომ უახლოეს პერიოდში ერთიან, ძლიერ და დემოკრატიულ ქვეყანაში ქართველი, აფხაზი და ყველა ეროვნების საქართველოს მოქალაქე იზეიმებს ჭეშმარიტ თავისუფლებას, მდგრად განვითარებას და კეთილდღეობას.

„მასწავლებლები კონსტიტუციაზე“, - ასე ერქვა ესეების კონკურსს, რომელიც საგანმანათლებლო პორტალმა EDU.ARIS.GE საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით ჩაატარა. ესეების კონკურსის მიზანი იყო მასწავლებელთა დაინტერესება და მათი ინფორმირებულობის გაზრდა საკონსტიტუციო რეფორმისა და კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების შესახებ. კონკურსში მონაწილეობდა 200-ზე მეტი მასწავლებელი, რომელთაგან გამარჯვებულად გამოცხადდა 16 პედაგოგი. გამარჯვებულთა შორის არის ნანა ჯალაღონია, აფხაზეთის მეორე საჯარო სკოლის დირექტორი.

საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა საზეიმო შეხვედრა, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პედაგოგებს გამარჯვება მიულოცა და პირადად დააჯილდოვა. „წლევანდელი წელი მე განათლების წლად გამოვაცხადე და ამითაც მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი განათლების სისტემის საფიქრალი და სამსჯელო საკითხი გახდა ასევე პოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი თემა - კონსტიტუციის გააზრება. მადლობას გიხდით ამ სამუშაოსთვის, იმედი მაქვს, რომ ეს სულისკვეთება არ დარჩება მხოლოდ პედაგოგებში, არამედ გადავა ასობით და ათასობით თქვენს მოსწავლეზე, გადავა საზოგადოებაში და ჩვენი სახელმწიფო იმით იქნება ძლიერი, რომ ჩვენ ყველა ერთი კანონით, ერთი წესით, ამ ერთი წესის ერთგულებითა და პატივისცემით ვიცხოვრებთ“, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

კონკურსანტების ნამუშევრები სპეციალურმა ჟიურიმ შეაფასა.

ვულოცავთ ნანა ჯალაღონიას ამ წარმატებას და გთავაზობთ მის ესეს.

მასწავლებლები კონსტიტუციაზე

ნანა ჯალაღონია,
აფხაზეთის მეორე საჯარო სკოლის დირექტორი.

ქვეყნის კონსტიტუცია უზენაესი კანონია ჩვენი თანამედროვეობისა და მომავლისათვის. მომავალი კი ჩვენი ბავშვებია. ერთი შემთხვევის შესახებ მინდა მოგიყვეთ... იმ დღეს ჩვეულებრივად შევედი საკლასო ოთახში მორიგი გაკვეთილის ჩასატარებლად. ვიცოდი, რომ კლასში ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსული ახალი მოსწავლე დამხვდებოდა. მოსწავლეებმა ქართული ენის წიგნები გადაშალეს. შევამჩნიე, რომ ლურჯთვალა გოგონამ არაბუნებრივი სიფრთხილით ამოიღო ჩანთიდან ქართული ენის წიგნი. მოსწავლეები გოგონას წინაშე თავს იწონებდნენ ქართული ენის ცოდნით. ლურჯთვალებას საოცარად მეტყველ სახეზე ერთდროულად გაოცება, სიფრთხილე, შიში იკითხებოდა. კარი დაგვიანებულმა მოსწავლემ შემოაღო... ლურჯთვალა გოგონამ წამებში წიგნი გადამალა...

დასრულდა გაკვეთილი. დავრჩით კლასში მე და ის... ჩემ წინ იდგა განსაცდელგამოვლილი „დიდი“ გოგონა, რომელიც ბავშვური გულწრფელობით, ალალად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე მიყვებოდა, თუ როგორ უკრძალავენ ოკუპირებულ აფხაზეთში მას და მის თანატოლებს ქართულად საუბარს... სასკოლო და სკოლისგარეშე მხატვრული ლიტერატურის კითხვას... თამაშს... თუ როგორ ახერხებენ მასწავლებლები პატარებისთვის ქართული ანბანის, ხოლო მოზარდებისთვის სხვადასხვა ქართველი მწერლის ნაწარმოებების გაცნობას... ბავშვურად მიყვებოდა დიდ გასაჭირზე და თითქოს ცდილობდა გამყოფი ხაზის იქით დარჩენილი თანატოლების სათქმელი თავად გადმოეცა. რატომღაც დამნაშავედ ვიგრძენი თავი...

უსიტყვოდ გამოვედი საკლასო ოთახიდან. მანძილი ჩემს სამუშაო ოთახამდე უსასრულოდ გაიზარდა... საკუთარ თავთან მარტო დარჩენილს უნებურად ჩემი წარსული გამახსენდა... მე ვიცი, როგორი ძნელია საზღვრისპირა სოფელში ცხოვრება... განათლების მიღება... როგორი განცდაა სწავლას მოწყურებული მოსწავლეების მიერ კილომეტრების გავლა თოვლში, წვიმაში, ქარში.... ისე, რომ უწევდათ სამხედრო პუნქტის გავლა... „გამყოფი ხაზის“ გადაკვეთა წლების განმავლობაში ყოველ დილით... როგორი უსასრულოა ლოდინი - როდის შემოაღებენ მეგობრები საკლასო ოთახის კარს... დაგვიანდებათ და ხვდები, რომ მათ თავისუფლად გადაადგილების უფლება არ მისცეს, წარმოიდგენ, რომ ისინი ე.წ სასაზღვრო გამშვებ პუქტთან მესაზღვრეების მიერ დასმულ კითხვებს ბავშვური ლოგიკით პასუხობენ: რას სწავლობენ? რისთვის სწავლობენ? როგორი შეგრძნებაა, თავად ბავშვმა მიაცილო მეგობრები ე.წ გამყოფ ხაზამდე... იდგე ერთ მხარეს გაქვავებული... შეშინებული... გაოცებული... თვალს არ აცილებდე თანატოლებს, რომლებსაც მეორე მხარეს მშობლები ელოდებიან, მაგრამ სანამ მათთან მივლენ, კვლავაც როგორ „უშიშრად“ პასუხობენ ჯარისკაცების კითხვებს - რა ისწავლეს? რისთვის ისწავლეს?.. რატომ სწავლობენ ქართულად?.. ეს ჩემი და ჩემი მეგობრების ბავშვობაა... ჩვენი წარსულის რეალობა...

სამწუხაროდ, მართალია სხვადასხვა დროში, მაგრამ არის მსგავსება ამ ორ ისტორიას შორის, დღევანდელ რეალობასა და წარსულს შორის... მიუხედავად აფხაზეთის ა/რ მთავრობის, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხრიდან მუდმივი ყურადღებისა და მზრუნველობისა, ეს საკითხი მაინც დგას. ვფიქრობ, რომ ეს ლოკალური - ოკუპირებულ აფხაზეთში მდებარე მხოლოდ ერთი სკოლის პრობლემა არ არის! ეს საერთო კრიზისია იქ დარჩენილი ქართველი ახალგაზრდების, იქ არსებული ქართული სკოლების, სადაც ქართულად სწავლა-განათლება აკრძალულია.

თუ კონსტიტუციის მიხედვით „ადამიანის უფლება დაცულია“ და „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“, მაშ, რატომ აქვთ იქ დარჩენილ ახალგაზრდებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება აკრძალული? მაშინ, როდესაც ჩვენთან, სკოლებში ისწავლება აფხაზური ენა, როგორც საგანი; მაშინ, როდესაც ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზებს არავინ სთხოვს ქართულ ენაზე საუბარს.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემა უნდა იყოს ყველა საერთაშორისო შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი განსახილველი საკითხი; ორივე მხარემ უნდა გაიაზროს, რომ ნიჭს, განათლებას, კულტურას არ აქვს საზღვრები; ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა, კონსტიტუციაში, იქ სადაც განათლებას ვეხებით, ისეთი ჩანაწერის არსებობა, რომელიც სკოლებს (განსაკუთრებით აფხაზეთის საჯარო სკოლებს), უფლებამოსილს გახდიდა, ეფიქრა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ, მათ შორის, აფხაზურ სკოლებთან დამეგობრებაზე, რომლის მიზანიც ახალგაზრდების ჩართულობა, განათლების, კულტურის, სხვადასხვა სფეროში მიღწევების, ერთმანეთის ტკივილისა თუ სიხარულის ურთიერთგაზიარება იქნებოდა.

საუნივერსიტეტო დიპლომატიის გზით...

მაია შონია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს 85 წელი შეუსრულდა. დევნილი უნივერსიტეტი უკვე 23 წელია საქართველოს დედაქალაქ თბილისშია განთავსებული. მას ახალი სასწავლო წლიდან ახალი რექტორი ხელმძღვანელობს - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ ხონელიძე. გაზეთ „ჩემი აფხაზეთთან" ინტერვიუში რექტორს უნივერსიტეტის განვითარების მისიასა და სტრატეგიაზე საუბარი ვთხოვეთ.

ზურაბ ხონელიძე:

- საქართველოში არის 75 უმაღლესი სასწავლებელი, 32 უნივერსიტეტი, მათ შორის 12 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელთაგან ერთ-ერთია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თუმცა მას შეუძლია იყოს ერთადერთი არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ან რეგიონში, არამედ საუნივერსიტეტო გლობალურ სივრცეში, რასაც განაპირობებს მისი ბედისწერა, მისი დღევანდელი მდგომარეობა.

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისას ჩამოყალიბდა სოხუმის ორი უნივერსიტეტი: ერთი სოხუმში და მეორე დევნილობაში - თბილისში. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, დღეს რამდენად ასრულებს უნივერსიტეტი მასზე დროის მიხედვით დაკისრებულ მისიას? დევნილობაში შესაძლებელია იყვნენ ადამიანები, ერები... მაგრამ დევნილობაში მყოფი უნივერსიტეტი მხოლოდ საქართველოშია. თბილისში დამკვიდრება არ იყო მარტივი პროცესი. მადლობა იმ ადამიანებს, რომლებმაც წლების განმავლობაში ეს მოახერხეს. თუმცა დღეს უნივერსიტეტი სრულიად სხვა გამოწვევების წინაშე დგას; მისი ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს, იგივე შეიძლება ითქვას, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის გარკვეული ნაწილის შესახებ. უნდა მოხდეს გაცნობიერება იმისა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარება მხოლოდ უნივერსიტეტის საზრუნავი არ არის, რადგან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სწორედ უნივერსიტეტიდან უნდა დაიწყოს, რაც მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ უნივერსიტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში აუცილებლად დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად უკვე ვდგამთ კონკრეტულ ნაბიჯს და ვქმნით ორ ცენტრს. პირველი - ეს არის აფხაზური ენის, ეთნოლოგიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ნუმიზმატიკის და აფხაზეთთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემსწავლელი ძლიერი ცენტრი და მეორე - ეს იქნება კონფლიქტოლოგიისა და რეგიონული პოლიტიკის საერთაშორისო ცენტრი. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ასევე საუნივერსიტეტო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციაა. ამის აუცილებლობაც არის და შესაძლებლობაც არსებობს.

სერიოზული ურთიერთობა გვაქვს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო, მათ შორის დონორ ორგანიზაციებთან. მათი ინტერესი ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ დღითიდღე იზრდება და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვის მზაობა აქვთ. ასევე გვინდა საუნივერსიტეტო ცხოვრების ახალი მიდგომის დანერგვა, რაც ჩვენს სამეტყველო და სააზროვნო ენად ტერმინ „სამშვიდობო ენის" დამკვიდრებას გულისხმობს. საუბარია უნივერსიტეტის არსზე, ხოლო ინფრასტრუქტურა, ახალი ლაბორატორიები, ე. წ. გონიერი დაფები იქნება, თუმცა, ეს ყველაფერი არ არის საკმარისი მის წინაშე მდგარი მისიის შესასრულებლად. აქ სასწავლო მოდულიც კი მორგებული უნდა იყოს აფხაზეთს. ყველაფერი გამომდინარეობს და ბრუნავს სწორედ აფხაზეთის თემის ირგვლივ.

- როგორც ცნობილია, გარკვეული გეგმები გაქვთ აფხაზეთში მცხოვრებ მეცნიერებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. საინტერესოა, როგორ აპირებთ ამის განხორციელებას?

- ბუნებრივია, „მშვიდობის მშენებლობის" ფორმატში აუცილებელია აკადემიური და საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენება, ეს იქნება თბილისში თუ სოხუმში. იგულისხმება „საუნივერსიტეტო დიპლომატია". ასევე არსებობს „სახალხო დიპლომატია", აქტუალური და მისაღებია გაეროს მიერ აღიარებული „სამეცნიერო დიპლომატია", მაგრამ ჩვენ უფრო სიღრმისეულად ვუყურებთ პრობლემას და ამიტომ „საუნივერსიტეტო დიპლომატიის" მიმართულებით წავალთ თავისი არსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. მართლები უნდა ვიყოთ ისტორიის წინაშე და თვალი გავუსწოროთ რეალობას. თავის დროზე (1989 წელს) აფხაზეთის უნივერსიტეტის გაყოფა (არაფერს ვამბობ მიზეზებზე), იყო არა ქართული ან აფხაზური მხარის, არამედ უცხო ქვეყნის გამარჯვება. ეს იყო აფხაზეთის და საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარცხი. სისხლისღვრა და დაპირისპირება, რაც ამ პროცესს მოჰყვა, იყო არა ჩვენს შორის, არამედ ჩვენს წინააღმდეგ. აღარავის სურს ომი, დაპირისპირება, ნგრევა, ჩვენ გვსურს მშვიდობიანი ხვალინდელი დღე ჩვენი შვილებისათვის. მჯერა, რომ ახლა გვაქვს საერთო მიზანი, რომელიც უნდა მოემსახუროს საერთო კეთილდღეობას. გვაქვს საერთო საქმე, რომლის დაძლევა ცალ-ცალკე ვერ მოხერხდება, რადგან ქართველები და აფხაზები ვართ მცირერიცხოვანი ერები და გლობალიზაცია გარკვეულ საფრთხეს გვიქმნის. მე მესმის, ეს რამხელა სირთულეა, განსაკუთრებით აფხაზებისთვის, რადგან ჩვენ გაცილებით მეტი მეგობარი, მხარდამჭერი, პარტნიორი და დამცველი გვყავს საერთაშორისო ასპარეზზე, ვიდრე მათ. ამიტომ გადარჩენის გზა ჩვენს ერთობაშია. მით უფრო დღეს, როდესაც აფხაზური ენა-იდენტობა ნამდვილად არის საფრთხის წინაშე. რაც უფრო მალე მივხვდებით და გავიაზრებთ ამას, მით უკეთესი იქნება ხვალინდელი დღე.

- როგორ წარმოგიდგენიათ აფხაზოლოგისაა და კონფლიქტოლოგიის ცენტრების მუშაობა? არსებობს თუ არა ამის თუნდაც საკადრო რესურსი? სამწუხაროდ, აფხაზური ენის სპეციალისტებიც არც ისე ბევრი გვყავს.

- ეს რესურსი არათუ ჩვენში, ენგურს გაღმაც დეფიციტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნაბიჯები არ გადავდგათ და არ აღვზარდოთ აფხაზური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები. ამ ეტაპზე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ არსებული რესურსი. აფხაზური ენა არის ჩვენი მეორე სახელმწიფო ენა აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლის წინაშეც მხოლოდ ქართულ სახელმწიფოს აკისრია დაცვის კონსტიტუციური ვალდებულება. რაც შეეხება კონფლიქტოლოგიის საერთაშორისო ცენტრს, ამ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ აუცილებელია მიზეზის კვლევა და არა შედეგთან ბრძოლა, რასაც დღემდე ვაკეთებთ. თუ გვინდა, სხვა შედეგი დადგეს, ომის წარმოქმნის მიზეზები უნდა ვიკვლიოთ. პრობლემა მხოლოდ 90-იან წლებში არ გაჩენილა. მოდით, ვაღიაროთ, რომ უახლეს ისტორიას არ ვიცნობთ და ამავე დროს გვეშინია, რომ მას თვალი გავუსწოროთ. ძალიან ხშირად, შეცდომის დაშვების შიშით, სიახლის დანერგვას ვერიდებით. ეს მაშინ, როდესაც დრო სწორედ ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს. არის თემები, რომლებიც არ საჭიროებენ ხმამაღლა

საუბარს; თუმცა აუცილებელია ორი მიმართულებით მუშაობა - საერთაშორისო ველის გააქტიურება და იქ, სადაც აფხაზეთის საკითხი განიხილება, „საუნივერსიტეტო დიპლომატიის" ამოქმედება; „დიალოგში" უნდა მონაწილეობდნენ ის ადამიანები, რომლებიც ასოცირდებიან მეცნიერებასთან, განათლებასთან, კულტურასთან. სოხუმის ორი უნივერსიტეტი - ეს არის ორი ნაპირი ხიდისათვის და დიალოგს დღეს ალტერნატივა არ აქვს.

ინტენსიურად ვხვდები ჩვენს სტუდენტებს. მათ ძალიან საინტერესო ინიციატივები და პროექტები აქვთ, რომელთაც მხარს აუცილებლად დავუჭერ. საერთაშორისო ფორმატში უნდა იყოს წარმოდგენილი თბილისში და სოხუმში მდებარე უნივერსიტეტები. უნივერსიტეტებს კი წარმოადგენენ რექტორები. ამ ფორმატში ჩვენს ჩართვას აზრი ექნება ერთადერთ შემთხვევაში, თუ პროცესში სოხუმში არსებული უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი ალექსანდრე გვარამია ჩაერთვება. მე მას პირადად ვიცნობ, ძალიან დიდ პატივს ვცემ და მან ამ პრობლემისადმი ჩემი განწყობისა და დამოკიდებულების შესახებაც ყველაფერი იცის. ამაზე მეტს ამ ეტაპზე ვერაფერს ვიტყვი ერთი მიზეზის გამო - ჩვენ უნდა გავაჯანსაღოთ ჩვენი ურთიერთობა და არა საფრთხე შევუქმნათ მას. მომავალში ამ საკითხს აუცილებლად დავაკონკრეტებთ, კონკრეტულ ნაბიჯებსაც იხილავს საზოგადოება და არსებულ ნიჰილიზმსაც ნელ-ნელა საფუძველი გამოეცლება.

- საკმაოდ ამბიციური გეგმაა. როგორ წარმოგიდგენიათ თავად უნივერსიტეტის განვითარება და მომავალი?

- უნივერსიტეტი დიდი მხარდაჭერით სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ქალაქის მერიის და სხვა სტრუქტურების მხრიდან. მაგრამ ხაზგასმით ვამბობ, რომ უნივერსიტეტი არის აპოლიტიკური ორგანიზაცია. მისი დღევანდელი მენეჯმენტი არ წარმოადგენს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას თუ დაჯგუფებას. მე უნივერსიტეტში სახელწმიფოს წარმოვადგენ და სახელმწიფოში ჩვენს უნივერსიტეტს.

- რას გულისხმობთ უნივერსიტეტის აფხაზეთთან ყველაზე ახლოს მდებარე სემეგრელოს რეგიონთან დაახლოებაში?

- სოხუმის უნივერსიტეტი ენგურს გამოღმა მხოლოდ თბილისში არსებობს. თბილისში ის აუცილებლად უნდა არსებობდეს როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სასწავლებელი - აფხაზებისა და ქართველების ერთობისა და ძმობის სახე. მაგრამ უნივერსიტეტის გარკვეული ნაწილი შესაძლებელია აფხაზეთთან, სოხუმთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე რეგიონში, ზუგდიდში იყოს წარმოდგენილი. ეს უნივერსიტეტის იქ გადასვლას ან გაყოფას არ გულისხმობს. პირიქით, უნივერსიტეტი თბილისში უნდა გაძლიერდეს, მაგრამ სამეგრელოში აუცილებლად უნდა შეიქმნას მისი ფილიალი. ყველა შემთხვევაში, ეს მოხდება ერთი საუნივერსიტეტო ქოლგის ქვეშ. ჩვენი უნივერსიტეტის ზუგდიდში დამკვიდრება აფხაზი ძმების, ახალგაზრდების, სტუდენტების ინტეგრაციის საშუალებას მოგვცემს. გასაღებზე როცა ვლაპარაკობთ, ის სხვაგან კი არა, ჩვენში უნდა ვეძებოთ და ეს გასაღები გეოგრაფიულად სამეგრელოშია.

- იქნება თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ აფხაზეთიდან გადმოსულმა აფხაზმა სტუდენტებმაც ისწავლონ ზუგდიდში?

- დარწმუნებული ვარ, ამის შესაძლებლობა იქნება და მას გაჩენს არა რექტორი, არამედ ქართული სახელმწიფო და ხელისუფლება, ის სამოქმედო გეგმა და პროგრამა, რომელიც აქვს მთავრობას და გულისხმობს განსაკუთრებულ პრივილეგიებს, გაცვლით პროგრამებს და სხვა სახის პროექტებს ჩვენი, მათ შორის აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის.

- უნივერსიტეტის აფხაზეთის რეგიონთან სიახლოვის იდეა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილია?

- ნებისმიერი იდეა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული სახელმწიფოს გაჯანსაღებას და აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩატეხილი ხიდის აღგენას, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილია.

- რამდენად დიდია ამ გეგმების განხორციელების რესურსი და არსებობს თუ არა ამისთვის მეორე მხარის მზაობა?

- რესურსი რომ არ იყოს, ამ ლაპარაკს აზრი არ ექნებოდა. არ გვაქვს უფლება, უნივერსიტეტი რეგრესისაკენ წავიდეს. მას სიცოცხლე კი არ უნდა გავუხანგრძლივოთ, ახალი სიცოცხლე უნდა შევძინოთ, რეგიონული ფუნქცია უნდა მივცეთ ამ ორი კვლევითი ცენტრის შექმნით. ნიუტონი ბრძანებს - ადამიანები ბევრ კედელს და ცოტა ხიდს აშენებენო. კედელი, რომელიც გვაშორებს, უნდა შევცვალოთ ხიდით, რომელიც ერთმანეთთან დაგვაკავშირებს. ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი მისია, გარდა საგანმანათლებლო მისიისა, სწორედ ესაა და ეს მისია შედგება, თუ ყველა თავის ადგილზე იქნება. მიმაჩნია, რომ ვარ იქ, სადაც უნდა ვიყო.

წებელდის ძეგლები ნადგურდება!

გიორგი კობახიძე

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობაა შემორჩენილი, რომელიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების უმრავლესობას სერიოზული საფრთხე ემუქრება, რადგან აქ ქართულ ისტორიულ კვალს მიზანმიმართულად შლიან.

რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ ამ ტერიტორიაზე შავი არქეოლოგიის და რესტავრაციის საფარქვეშ არაერთი ქართული ისტორიული ძეგლი განადგურდა, ძირითადად ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები. თითქმის არ დარჩენილა ადრეული შუასაუკუნეების და გვიანი პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლები მსახვრალი ხელი რომ არ შეხებოდეს.

განსაკუთრებით, აღსანიშნავია გაერთიანებული საქართველოს სიმბოლოდ ქცეული ბაგრატ III-ის მიერ 999 წელს აგებული ბედიის ეკლესიის უნუგეშო მდგომარეობა. უნებართვოდ ჩატარებულმა რესტავრაციებმა შეიწირეს ამ ეკლესიაში დაცული გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ფრესკა და ძველი ქართული წარწერები. დაზიანდა და გაიძარცვა ბაგრატ III-ის საფლავიც.

ასევე დაზიანდა აფხაზეთის ტურისტულ ზონაში არსებული სხვა ეკლესია-მონასტრები. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართულმა განადგურებამ პიკს წლევანდელი წლის დასაწყისში მიაღწია.

2017 წლის 3 იანვარს რუსეთის ფედერაციის სამხრეთის ოლქის სამხედრო პოლიგონის მოსაწყობად საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონ წებელდაში (თანამედროვე გულრიფშის რაიონი) მდინარეების კოდორისა და მრამბის შესაყართან მე-8-9-ე საუკუნეებით დათარიღებული ეკლესიის კედლები და ზღუდე, ასევე კელიის ფრაგმენტები და XIX საუკუნეში აქ მცხოვრები პოლონელების სასაფლაო მძიმე ტექნიკის გამოყენებით გაანადგურეს.

გავრცელებული ინფორმაციით 2011 წელს, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით, სოფელ წებელდის მიმდებარე ტერიტორია აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს გადაეცა ერთობლივი წვრთნების ჩასატარებლად - რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის (ФСБ) სასაზღვრო სამმართველოსთან ერთად. მოგვიანებით ეს ტერიტორია ხელშეკრულებით გადასცეს მესაზღვრეებს, რომლებმაც აქ სამხედრო პოლიგონის მშენებლობა დაიწყეს. სამშენებლო და მიწის სამუშაოებს უძღვებოდა პოლიგონის უფროსი ვიქტორ გრიშჩენკო.

აღსანიშნავია, რომ მცირე ბორცვზე მდებარე ეკლესია, რომელიც ხელს უშლიდა სამხედრო პოლიგონის მოწყობას და ირგვლივ არსებული არტეფაქტები ბულდოზერებით რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე არის მიმობნეული და განადგურებული. ძვირფასი ისტორიული მემკვიდრეობა ამჟამად მხოლოდ ისტორიის საკუთრებადაა ქცეული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „XIX საუკუნის I ნახევარში აფხაზეთში მდგარი რუსის ჯარის 10 პროცენტს პოლონელები შეადგენდნენ. ჯარში მრავალი წლის სამსახურის შემდეგ ისინი აქვე ქორწინდებოდნენ და სახლდებოდნენ. 1840 წელს სოფ. წებელდაში ცხოვრობდა რამდენიმე ათეული პოლონური ოჯახი. პოლონელებმა განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთში ბუნებათმცოდნეობის მეცნიერების განვითარებაში. თანდათან პოლონელების დასახლება იზრდებოდა, მათ ამავე პერიოდში ააგეს ეკლესია, ხოლო მის არე-მარეში კრძალავდნენ თავიანთ მიცვალებულებს. სწორედ, ამ ეკლესიის ნაშთები და პოლონელების ეს საფლავები იქნა განადგურებული XXI საუკუნეში“.

აღსანიშნავია, რომ, მრამბის ამჟამად უკვე დანგრეული ეკლესია და მისი შემოგარენი ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაკრძალ „წებელდის“ ნაწილს წარმოადგენს.

ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი წებელდა მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და მოიცავს ვრცელ ტერიტორიას მთიანი აფხაზეთის ულამაზეს ხეობაში მდინარე კოდორის შუა და ზემო წყლის აუზში.

VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორები პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი ბიზანტია-სპარსეთის ომთან დაკავშირებით მრავალჯერ იხსენიებენ აფსილეთის მთავარ ციხეს ციბილიუს (ციბილიუმს). თუმცა აღსანიშნავია, რომ წებელდის ციხის ადრეული ფენები IV-V სს თარიღდება. ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრებით სახელწოდება „წებელდა“ და ციხის სახელი ერთი და იგივეა.

ენათმეცნიერ თეიმურაზ გვანცელაძის აზრით, ტოპონიმ წებელდის წარმოშობა მცენარე წაბლს უკავშირდება. „არსებობს ყველანაირი საფუძველი იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ტოპონიმი წაბალი „წაბლი“ შექმნილია წინარე-ქართველურ ენაზე ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნიდან ახ. წ. დასაწყისამდე პერიოდში. ახ. წ. დასაწყისიდან 554 წლამდე გაჩნდა ახალი წებელი ვარიანტი, რომელიც თითქმის XX საუკუნემდე გამოიყენებოდა. სწორედ ამ უკანასკნელი სახეობისგანაა მიღებული XVI- XVIII საუკუნეთა შორის აფხაზური ფორმა წაბალ“.

წებელდა იყო კარგად გამაგრებული ციხე-სიმაგრე. მის გეგმარებას განაპირობებდა რელიეფის სირთულე, რომელიც კლდოვანია და ძნელად მისადგომი. ამასთან, ის, ადრე შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა. მთის მწვერვალებზე მიკვლეული ადრინდელი ფეოდალური ხანის რამდენიმე ციხე მიუთითებს რეგიონის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. წებელდის ციხეები კონტროლს უწევდა სავაჭრო-სატრანზიტო გზას, რომლითაც ჯერ რომის იმპერია, შემდეგ ბიზანტია ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს ახორციელებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან, ხოლო კასპიის ზღვის გვერდის ავლით - შუა აზიასთან. ასევე ის იცავდა ეგრისს ქლუხორის და მარუხის უღელტეხილის საშუალებით ჩრდილო კავკასიელი ტომების შემოტევებისაგან.

ფეოდალურ ხანაში წებელდა მარშანიების ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მდ. კოდორის ხეობის ზემო წელის ერთი მონაკვეთი - დალი გვიან საუკუნეებში გამოეყო წებელდას. 1810 წელს აფხაზეთის სამთავრომ ცნო რუსეთის პოლიტიკური სუვერენიტეტი. 1840 წელს წებელდაში ახალი ხელისუფლება აღიარეს. აფხაზეთის 1866 წლის აჯანყების დროს წებელდის მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ადგილობრივი ფეოდალებისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. შემდეგში წებელდის მოსახლეობა იძულებით თურქეთში გადაასახლეს (მუჰაჯირობა).

წებელდა მდიდარია არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ამ კულტურული რეგიონის ზონაში რამდენიმე ადრექრისტიანული ხანის ეკლესია და სამაროვანია მოძიებული, რომელთა აღმოჩენაში პირველ ეტაპზე განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართველ ისტორიკოსსა და არქეოლოგს დიმიტრი ბაქრაძეს და რუს არქეოლოგს გრაფინია პრასკოვია-უვაროვას.

XIX-XX სს. ზემოთხსენებული მეცნიერების გარდა, საკვლევი რეგიონი შეისწავლეს, მდიდარი არქეოლოგიური მასალა მოიპოვეს და მას სპეციალური მონოგრაფიები მიუძღვნეს მ. ტრაპშმა, რ. შმერლინგმა, გ. შამბამ, ი. ვორონოვმა, მ. გუმბამ.

წებელდაში ასევე ნაპოვნია კანკელის ფილები. აქ გათხარეს (მ. ტრაპში, გ. შამბა, ი. ვორონოვი, მ. გუმბა) II-VII საუკუნების მრავალრიცხოვანინვენტარიანი სამარხები. ახლანდელი სოფ. წებელდის აღმოსავლეთით 4 კმ-ზე ასევე გათხარეს (ი. ვორონოვი) ერთ-ერთი ციხე. გამოვლინდა საფორტიფიკაციო სისტემა, 2 დარბაზული ეკლესია, აბანო, სამეურნეო სათავსები, წყალსაცავი აუზი, წყალსადენი, VI საუკუნის მონეტები და სხვა. აღმოჩენილია აგრეთვე X-XI საუკუნეების მონეტების განძი, რომელიც შეიცავს არაბული დირჰემების ქართულ მიბაძვას.

აღსანიშნავია, რომ წებელდის ციხეს ხუროთმოძღვრული თვალსაზრსით პარალელები მოეპოვება დასავლეთ საქართველოს ისეთ ცნობილ საფორტიფიკაციო ნაგებობებთან, როგორიცაა ნოქალაქევის, შორაპნის და სკანდის ციხე.

წებლდის რეგიონი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით და აქვე გაგაცნობთ აღნიშნულ რეგიონთან დაკაშირებული კულტურული მემკვიდრეობის არასრულ სიას.

1) წებელდის ციხე და აღნიშნულ კომლექსში შემავალი საფორტიფიკაციო ნაგებობები; 2) აჭანდარის (პოლტავსკოე) წმ. თევდორეს ეკლესია; 3) აბულასან იობისძის წარწერა წმინდა ანდრია მოციქულის ხატზე XII ს; 4) მიქაელის წარწერა X-XI სს; 5) მარიამის წარწერა წმინდა ეკატერინეს ხატზე XI ს; 6) წებელდის რელიეფური ფილები VII-VIII სს; 7) ლუკა მარტინევას წარწერა XIV ს; 8) წმინდა იოანე ნათლისმცემლის ხატი XI; 9) წებელდის წმიდა გიორგის ეკლესია XII-XIII სს; 10) შაპკა; 11) მრამბა (განადგურდა 2017 წლის იანვრის პირველ ნახევარში).

სოფელი მრამბის ეკლესია მდებარეობს წებელდიდან 4-7 კმ სამხრეთ-დასავლეთით. 1981-82 წლებში წებელდის ექსპედიციის მიერ ჩატარებული გათხრების შედეგად მრამბაში გამოვლინდა ადრექრისტიანული დარბაზული ტიპის ეკლესია წინ წამოზიდული, გარედან ხუთწახნაგოვანი, შიგნიდან ნალისებური ფორმის აფსიდით. ეკლესია ნაკლები გულმოდგინებით დამუშავებული ქვის კვადრებითაა ნაგები. როგორც ირკვევა VI-VIII სს. საუკუნის ტაძარი მოგვიანებით, XI-XIV სს-ში, საფუძვლიანად შეუკეთებიათ. მრამბის ტაძარს ახლო ანალოგები ეძებნება კაბადოკიაში. მრამბის ტაძარს უკავშირდება, აქვე აღმოჩენილი, ადრექრისტიანული სიუჟეტებითა და სიმბოლოებით შემკული კირქვის ფილები. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი წრეში, ყურძნის მტევნები და ჩიტები.

P.S. ამ თემით დაინტერესებულ მკითხველებს, გეტყვით რომ წებელდის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ვამზადებთ წიგნს. რაც აფხაზეთის საქართველოსგან განუყოფლობის იდეის პოპულარიზაციას ემსახურება.

ფერითა და პოეზიით „გაზავებული" „კედლების გემო"

მაია შონია

ადამიანს ყველაზე მეტად იმ კედლის დანგრევა უჭირს, რომელსაც თავის წარმოსახვაში აღმართავს. ამიტომაც მასთან ჭიდილს ზოგჯერ მთელ ცხოვრებას ანდომებს, - ასე ფიქრობს პოეტი და მხატვარი მანონ ბულისკერია. რომლისთვისაც ამ კედლებს გემოც კი აქვს. მანონ ბულისკერიას „კედლების გემო" მისი შემოქმედების მოყვარულებმა ჯერ პოეტური კრებულის, შემდეგ კი ამავე სახელწოდების პირველი პერსონალური გამოფენის (2015 წელს) სახით შეიგრძნეს. ახლახან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებულ ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში მანონ ბულისკერიას მეორე პერსონალური გამოფენა - „კედლების გემო" 2 - გაიმართა. პროფესიონალმა მხატვრებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა და ხელოვნების მოყვარულებმა - ყველამ ერთხმად აღიარეს, რომ გამოფენა შედგა, რადგან მანონ ბულისკერიას ნამუშევრებმა სწორედ იმგვარი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორსაც ნამდვილი ხელოვნება ახდენს ადამიანებზე.

ქეთი დუმბაძე, პროექტ „ცოცხალი წიგნების" ავტორი: - მანონის ლექსებსა და ნახატებში სწორედ იმ აფხაზეთს ვხედავ, სადაც გავიზარდე, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს და მენატრება. ამ გამოფენამ ცხადყო, რომ ის ისეთივე მაგარი მხატვარი ყოფილა, როგორიც პოეტია. ნახატები - „გზა", „ზურგის ქარი" - აფხაზეთში მიდის და მჯერა, აუცილებლად დავბრუნდებით.

როლანდ ნიჟარაძე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე: - მანონ ბულისკერიას პოეზია და მხატვრობა ერთმანეთს ჰგავს, ამ ნამუშევრებში თითქოს მისი პოეზია გრძელდება და პირიქით. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ამით გიზიდავენ კიდეც.

გურამ ცერცვაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე: - ეს გამოფენა მეტყველებს იმაზე, თუ რა მარგალიტებივით მიმობნეულან ქართულ კულტურაში აფხაზეთის მხატვრები, მწერლები, პოეტები. აქამდე მანონს ვიცნობდი როგორც წარმატებულ პოეტს. ამიერიდან ის ჩემთვის აღმოჩენაა, როგორც მხატვარი, ის უაღრესად ნიჭიერია. ვუსურვებ წარმატებებს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ჯუმბერ ბეჭვაია, სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის სამრეწველო დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი: - ჩვენ ვიცით ჩინეთის კედელი, რომელიც არის გაერთიანების სიმბოლო, ვიცით ბერლინის კედელი, რომელიც გაყოფის სიმბოლოა, ამიერიდან გვეცოდინება მანონ ბულისკერიას კედელი, რომელსაც აქვს გემო, რომელიც არის ფერადოვანი და „ძალიან გემრიელი".

მარიამ შაქარაშვილი, მხატვარი: - მანონის გამოფენის მთავარი ღირსება ის არის, რომ თითოეული ნამუშევარი მნახველთან კონტაქტს ამყარებს, თითქოს ესაუბრება.

ნანა ქარდავა, მწერალი: - მხატვრობაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მის პოეზიას უკვე 16 წელია, აღფრთოვანებაში მოვყავარ.

გია გვაზავა, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: - სასიხარულოა, რომ ჩემს აფხაზეთს მანონისნაირი შვილები ჰყავს. ღმერთმა დედამიწა შექმნა და შეისვენაო, მერე ადამი შექმნა და შეისვენაო, მერე ევა შექმნა და მას მერე მოსვენება არა აქვსო - აი, ასეთია მანონ ბულისკერია თავისი შემოქმედებით, რომელიც არავის მოასვენებს.

მოგვიანებით თავად **მანონ ბულისკერიას** ვკითხეთ, რას გულისხმობს მისი კონცეფცია „კედლების გემო", რომელსაც თანაბრად ერთგულებს პოეზიაში და მხატვრობაში. გარდა ამისა, ის სულ რამდენიმე თვის წინათ აფხაზეთის ლიტერატორთა და ხელოვანთა შემოქმედებითი გაერთიანების თავმჯდომარედ აირჩიეს და ჩვენი კითხვები ამ თვალსაზრისით მის საქმიანობასაც გადაწვდა.

მანონ ბულისკერია:

- სხვებიც მეკითხებიან ხოლმე რატომ „კედლების გემო"? რას გულისხმობს ეს ჩანაფიქრი? თითოეული ადამიანის წინაშე ყოველთვის არის აღმართული ხილული თუ უხილავი კედლები, რომელთა დაძლევა საბოლოოდ მაინც შესაძლებელია. მაგრამ არის კედლები, რომლებსაც ჩვენ თვითონ ვიგონებთ, მერე ვიჯერებთ კიდეც და მათი დანგრევა ძალიან ძნელია, ხშირად შეუძლებელი. ეს კედელი ასევე მე თვითონ გამოვიგონე სამი წლის წინათ და იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ თვითონვე დავიჯერე. ახლა მისი დაძლევის პროცესში ვარ, ვნახოთ, რა გამოვა და როგორ გაგრძელებას ჰპოვებს ჩემი მხატვრობა.

- წლების განმავლობაში ცნობილი იყავით როგორც პოეტი. თქვენი კონცეფციის ფარგლებში შექმნილი გაქვთ პოეტური კრებული „კედლების გემო".

- პოეზია ჩემთვის ორგანულია, რადგან ბავშვობიდან ვწერ. არ მინდა ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ეს არის სფერო, სადაც საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ.

- ანუ პოეზიაში „კედელი" მეტ-ნაკლებად დაძლეული გაქვთ?

- კი, შეიძლება ასე ითქვას. ძალიან ნიჭიერები არიან ჩემი თაობის მწერლები და მხატვრები. იქ სადაც ბევრი ნიჭიერია, კონკურენციაც დიდია. მათი შემოქმედება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ამ კედლის დანგრევაში ჩემს შემოქმედებასთან ერთად მათი შემოქმედებაც მეხმარება. მათი როგორც პოეზიის, ისე მხატვრობის დიდი გულშემატკივარი ვარ. ეს ძალიან საინტერესო პროცესია.

- სამი წელი არც ისე დიდი დროა შემოქმედისთვის, რომ დაიხვეწოს და სრულყოფილებას მიაღწიოს.

- ინტენსიურად რომ შემეძლოს ხატვა და სახელოსნოში ჩემთვის განმარტოება, სხვა შედეგი მექნებოდა. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა მეთქვა კიდეც, რომ სამი წელი არ არის ცოტა. მაგრამ სხვა პროექტებშიც ვარ, მაქვს სამსახური. ამიტომ ვხატავ მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალიან მინდა.

- რაც იმას ნიშნავს, რომ ხატვის პროცესი თქვენთვის რუტინა არ არის.

- დიახ, ეს არ არის რუტინა, ეს არის განტვირთვის პროცესი და ალბათ, ამიტომაც მოდის ნახატებიდან ის ემოცია, რასაც დამთვალიერებელი გრძნობს. პროფესიონალებიც სწორედ ამას აღნიშნავენ, რომ ეს არის ემოცია, რომელიც ნამდვილად განცდილი და გამოვლილია.

- საქართველოში არც ისე ცოტა მხატვარია. ამ ფონზე ძნელია, მხატვარს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფერი, სტილი, შტრიხები ჰქონდეს. თქვენ ეს ყველაფერი გაქვთ და თქვენი ნამუშევრების ერთ-ერთი მთავარი ღირსება, ალბათ, ესეც არის.

- მადლობა ასეთი შეფასებისთვის. ვფიქრობ, ეს იმიტომაც არის ასე, რომ მთელი პროცესი ემოციის ფონზე მიმდინარეობს და არაფერს ვიგონებ. როდესაც ვხატავ, პირდაპირ მივყვები გრძნობებს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად ესადაგება ეს ყველაფერი სხვის გემოვნებას და თუ ჩემი ნამუშევრები ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, ძალიან მიხარია. ბევრი მხატვარი გვყავს, მაგრამ განსაკუთრებით მაინტერესებს ისინი (თუმცა არა ყველა), ვინც აბსტრაქციაში მუშაობს. უფრო მეტად ვგულისხმობ ჩვენი 80-იანელების თაობას. მათი შეფასება ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც სტიმულს მაძლევს, რომ კიდევ შევქმნა.

- თქვენც ძირითადად აბსტრაქციას ხატავთ. სხვა ჟანრში თუ გიცდიათ რამის შექმნა, ან მომავალში თუ აპირებთ?

- ვგრძნობ, როდესაც გულით მინდა დავხატო, აბსტრაქციისკენ ვიხრები და გამომდის. ეს ბუნებრივად მოდის. დიდ პატივს ვცემ პროფესიონალიზმს, ამიტომაც ფიგურატიულ მხატვრობას მოვერიდები, რადგან შესაბამისი აკადემიური განათლება არ მაქვს. ვიდრე ფიგურაზე ბევრს არ ვიმუშავებ, ამ მიმართულებას სერიზულად ხელს არ მოვკიდებ.

- სათაურებიდანაც იგრძნობა, რომ თქვენი ნამუშევრების ძირითადი თემა აფხაზეთია.

- „მოლოდინი", „სახლი ხავსში", რომელიც ელოდება პატრონს, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს; „ოდისეა" - ღვინისფერი ზღვა, როგორც ჰომეროსს აქვს - მთელი ცხოვრება გზაში ვართ და სახლამდე ვერ მივაღწიეთ - ამ ნახატში ეს განცდა გადმოვეცი. „ქარის წისქვილებიც", „არჩევანიც" და „კედლების გემოც" იგივე თემატიკას აგრძელებს.

- მომავალ გამოფენას თუ გეგმავთ. კონცეფციის შეცვლას აპირებთ თუ შესაძლოა „კედლების გემო" 3-იც ვიხილოთ?

- ჯერჯერობით არაფერს ვგეგმავ. სპონტანურად, უცებ დავიწყე ხატვა და ასევე უცებ შეიძლება შევწყვიტო კიდეც, მაგრამ იცით, რა არ მაძლევს ამის საშუალებას? თუ პოეზია არის ჩემთვის მოუსვენრობა, ტილო და ფუნჯი მამშვიდებს, რაც ძალიან მჭირდება. ხატვის დროს ვისვენებ, თუნდაც ამიტომ არ შევეშვები.

- გარდა იმისა, რომ შემოქმედი ხართ, თქვენი კარიერაც ამ მიმართულებით განვითარდა და აფხაზეთის ლიტერატორთა და ხელოვანთა გაერთიანებას ხელმძღვანელობთ.

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის „ცოცხალი წიგნები" ერთ-ერთი მონაწილე ვარ. ამ პროექტმა, როგორც მწერალს, ძალიან ბევრი რამ მომცა. ჩემი ლექსები რამდენიმე ენაზე ითარგმნა და გამოიცემა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რასაც ქეთი დუმბაძე აკეთებს. ამ პროექტში ყველა ასაკის და თაობის შემოქმედია ჩართული - 75 მწერალი მთელი საქართველოდან. აქედან ათამდე ავტორი აფხაზეთიდან იყო. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. უნიჭიერესი თაობა გვყავს და მეამაყება მათთან ერთად საქმიანობა. ეს ბევრ რამეში მეხმარება, რადგან სულიერადაც და შემოქმედებითადაც ვავსებთ ერთმანეთს.

აფხაზეთის ლიტერატორთა და ხელოვანთა შემოქმედებითი გაერთიანება, რომელსაც რამდენიმე თვეა ვხელმძღვანელობ, აფხაზეთის მწერალთა კავშირის სამართალმემკვიდრე არ არის. ეს ორგანიზაცია 2005 წელს ბატონმა გენო კალანდიამ დაარსა და მასში გაერთიანებული არიან არა მარტო მწერლები, არამედ მხატვრები, მუსიკოსები, ზოგადად, ხელოვანები. ჩვენი კარი ასევე ღიაა იმათთვის, ვინც იზიარებს ჩვენს წესდებას და დებულებას. ეს ორგანიზაცია არაფერს წარმოადგენს ამ ხალხის გარეშე. მის დამფუძნებელს, ბატონ გენო კალანდიას დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი მწერლების, მხატვრების და მუსიკოსების წარმატებაში. 23 წელი მის გვერდით ვიყავი და ეს ყველაფერი კარგად ვიცი. ახლა, ვცდილობთ, მისი გზა გავაგრძელოთ.

დიდი კომპოზიტორები აფხაზეთში

„აფხაზურ-ქართული ურთიერთობები“ ქვესათაურივით ერთვის აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის დირექტორის, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის ყოფილი მინისტრის სვეტლანა ქეცბას კრებულს „გულის სახსოვარი“. კრებული აფხაზეთში ქართველებისა და აფხაზების კულტურული ცხოვრების ამბებს ასახავს, ყოველივე ამის შემოქმედ ადამიანებს - როგორც აფხაზეთის მკვიდრთ, ისე მის სტუმრებს - უყრის თავს. კრებულში ამ თვალსაზრისით საინტერესო ბევრ მოგონებას ეცნობა მკითხველი, მაგრამ ჩვენ ამჯერად გამოჩენილი კომპოზიტორების - გივი ორჯონიკიძის, ოდისეი დიმიტრიადის, ანდრია ბალანჩივაძის, ოთარ თაქთაქიშვილის აფხაზეთთან და აფხაზეთის საზოგადოებასთან ურთიერთობის ამსახველ ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ.

სვეტლანა ქეცბა

გივი ორჯონიკიძე

მახსოვს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანლად მის არჩევამდე დიდი ხნით ადრე, სოხუმს ჩამოსული, პირველად მესტუმრა სახლში. მე შინ არ ვიყავი. როცა დავბრუნდი, დავინახე - ისე გულითადად საუბრობდა დედა-ჩემთან, თითქოს კარგა ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. ამ შეხვედრის შემდეგ დედა გივის ჩვენი ოჯახის ახლობელ ადამიანად მიიჩნევდა.

შეუძლებელია, გიყვარდეს შენი ხალხი, თუ პატივს არ სცემ სხვა ხალხებს და თუ არ იცნობ მათ კულტურას. სწორედ ასე ფიქრობდა გივი, როდესაც აფხაზეთში ბავშვთა ინტერნაციონალური გუნდის შექმნა შთაგვაგონა. ამასთან დაკავშირებით იგი ბევრჯერ ჩამოვიდა სოხუმში, ისმენდა კოლექტივის პირველ რეპეტიციებს, გვეხმარებოდა, რათა ის საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე გაგვეყვანა.

განსაკუთრებული იყო გივი ორჯონიკიძის დამოკიდებულება აფხაზეთისადმი. მას მოსწონდა აფხაზეთის მკვიდრნი (ბედნიერი იყო, რომ ახლობლობდა გუდაუთის რაიონული კულტურის სახლის ხელმძღვანელთან, გამოჩენილ მომღერალ ივანე ლაკერბაიასთან, პროფესორ შალვა ინალ-იფასთან, პოეტ გიორგი გურგულიასთან, რომლებთანაც საქმიანობამ დააკავშირა); მოსწონდა აფხაზეთის ბუნება (ჩამოსვლისთანავე მიიჩქაროდა ზღვისკენ, ტკბებოდა მისი ცქერით და ოცნებობდა მის სანაპიროზე სადმე, მიყრუებულ ადგილას დასახლებაზე); ცხოველ ინტერესს იჩენდა აფხაზური პროფესიული მუსიკის განვითარებისთვის; მისი ინიციატივით 70-80 წლებში ჩატარდა „აფხაზური დღეები“ თბილისში, რუსთავში, თელავში; შედგა საუბარი მრგვალ მაგიდასთან აფხაზური პროფესიული მუსიკალური ხელოვნების შემდგომი განვითარების საკითხებზე; გაიმართა რესპუბლიკური თათბირი თემაზე - „შემოქმედებითი ინტელიგენცია და მხატვრული თვითშემოქმედება. სოფლის კულტურის ძირეული ამოცანები აფხაზეთის მაგალითზე“ (მისი სურვილი იყო, ეს თათბირები რეგულარული გამხდარიყო და მათზე წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხებს ეროვნული კულტურის განვითარებისთვის შეეწყო ხელი, სწორედ ამიტომ პირველივე თათბირზე მან მოიზიდა ქართული და აფხაზური ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები, პარტიულ ორგანოთა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები); გაიმართა ფოლკლორული კონცერტები თბილისსა და სოხუმში (მათში აფხაზეთიდან 240-ზე მეტი შემსრულებელი მონაწილეობდა), რომელთა მიზანი იყო, როგორც იგი წერდა „...არ დაკარგულიყო, არ გაფერმკრთალებულიყო ხალხური მუსიკალური ხელოვნების ალმასები და ისინი მთელი თავისი ნახნაგებით აელვარებულიყვნენ.“

გივი ორჯონიკიძე დიდი ინტერესითა და ყურადღებით ადევნებდა თვალყურს აფხაზეთის სინამდვილეში ახალი ნაწარმოებების გამოცემას. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით მასში ჭეშმარიტ და საიმედო მეგობარს.

ოდისეი დიმიტრიადი

ოდისეი დიმიტრიადის მოღვაწეობა დაიწყო სოხუმში 1930 წელს, ახალგახსნილ აფხაზეთის მუსიკალურ სკოლაში. ამ სასწავლო დაწესებულებამ იმთავითვე სტიმული მისცა აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებას. მასთან დაარსდა სიმფონიური ორკესტრი, აფხაზურ-ქართული გუნდი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და სხვა კოლექტივები. აქვე დაიწყო აფხაზური ფოლკლორის შეგროვება და ამ მასალაზე მუსიკალური ნაწარმოებების შექმნა.

აფხაზეთში ოდისეი დიმიტრიადის საქმინობა ვითარდება რამდენიმე მიმართულებით, რაც მისი შემდგომი მოღვაწეობის განმსაზღვრელი ხდება. ის სასწავლო პროცესის ორგანიზატორია, პედაგოგი (1936-37 წწ. - ტექნიკუმის დირექტორი), სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი, საზოგადო მოღვაწე, რომელსაც ესმოდა ახალგაზრდა აფხაზური კულტურის წინაშე მდგარი ამოცანების გრანდიოზულობა. კერძოდ, მისი ძალისხმევით დაარსდა ქართულ-აფხაზური გუნდი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ფოლკლორის დიდ ენთუზიასტსა და მცოდნეს პლატონ ფანცულაიას. საინტერესოა ოდისეი დიმიტრიადის, როგორც დირიჟორისა და კომპოზიტორის მოღვაწეობა, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორზე მის მიერ დაწერილი ოპერეტა და სიმფონიური ნაწარმოებები ორკესტრისათვის, მათ შორის ხელახლა გაორკესტრებული სომფონიური მინიატურა ,,აიბარკრა-შარატინი“. ყოველივე ეს წარმოდგენას გვიქმნიდა ახალგაზრდა მუსიკოსის განსაკუთრებულ შემოქმედებით ნიჭზე.

ოდისეი დიმიტრიადის მეგობრული კავშირები აფხაზეთის კულტურის წარმომადგენლებთან არასოდეს შეუწყვეტია. მისი მეგობრები იყვნენ: ნიკოლოზ ანჩაბაძე - ცნობილი მეღვინე, გიორგი ემხვარი - უნიჭიერესი ქირურგი და მისი მეუღლე - ვალენტინა ზიზდო-ემხვარი, პიანისტ ანა თულაშვილის აღზრდილი, სამუილ ელინსონი - ვიოლონჩელისტი, პოლიქრონ ბუმბურიდი - ცნობილი ექიმი თავისი ოჯახით და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა ოდისეი დიმიტრიადის ურთიერთობა სოხუმის სახელმწიფო მუსიკალურ სასწავლებელსა (ყოფილი აფხაზეთის მუსიკალური ტექნიკუმი) და აფხაზეთის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან.

სვეტლანა ქეცბა და ოდისეი დიმიტრიადი სოხუმში, დიმიტრი გულიას ძეგლთან

მახსენდება მისი ჩამოსვლა სასწავლებლის 50 წლის იუბილეზე, მუსიკალური საზოგადოებისა და ბერძნული დიასპორის მიერ მოწყობილ სიმფონიურ კონცერტებზე დიდი მეტრის დაბადების 80 და 85 წლისთავთან დაკავშირებით. მისი რჩევები მუსიკალური ცხოვრებისა და სასწავლო პროცესის შესახებ სპეციალისტებისთვის ყოველთვის სასარგებლო იყო. ოდისეი დიმიტრიადის აღზრდილები იყვნენ სოხუმის სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებულები ლევ ჯერგენია და ანატოლი ხაკბა, რომლებიც სხვადასხვა დროს აფხაზეთის სიმფონიურ ორკესტრს სათავეში ედგნენ. ოდისეი დიმიტრიადთან მეცადინეობდა ასევე ნიჭიერი ვიაჩესლავ აიბა.

სოხუმში ჩამოსვლისას ოდისეი დიმიტიადი მატარებელს ყოველთვის ბარათაშვილის პლატფორმამდე მოჰყვებოდა. აქ მას ელოდებოდა ანატოლი ხაკბა მარტო ან რამდენიმე მეგობართან ერთად. მას არ უყვარდა პომპეზური დახვედრები, არც მაღალფარდოვანი სიტყვები, არც თანამდებობის პირების მონახულება. იგი გეზს პირდაპირ სანაპიროსკენ იღებდა და იქ შეკრებილ მეგობრებთან და თაყვანისცემლებთან ერთად ყავას მიირთმევდა, იხსენებდა ,,გარდასულ დღეებს“ და საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდა. ეს წუთები ბატონი ოდისეისთვის ძალიან ამაღელვებელი იყო, რადგან ის აქ ხვდებოდა თავის ახალგაზრდობას, ძვირფას ადამიანებს და აფხაზეთს, მხარეს, რომელთანაც უსაზღვრო სიყვარული აკავშირებდა.

ოთარ თაქთაქიშვილი

ოთარ თაქთაქიშვილი კარგად იცნობდა აფხაზური კულტურის დაწესებულებების საქმიანობას. მათი სამუშაო გეგმები სისტემატურად განიხილებოდა საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე, თვითონაც არაერთხელ სტუმრობდა სოხუმს, რათა აფხაზი ხელოვანების ნარმატებებსა თუ პრობლემებს ახლოდან გაცნობოდა.

ზოგიერთი მისი ჩამოსვლა კარგად მახსოვს, მაგალითად, ირაკლი აბაშიძის საიუბილეო ზეიმსა და აგრეთვე ახალი ათონის მღვიმის გახსნაში მონაწილეობა. ოფიციალური დელეგაციის ჩამოსვლამდე ჩვენ, ლია სეხნიაშვილთან ერთად, ვამოწმებდით მიწისქვეშა მღვიმე-სასახლეებში მუსიკალური ჩანაწერების ჟღერადობას, რომლებიც წინა დღეებში მოვამზადეთ, და ჩვენი აზრით, ახალი ათონის მიწისქვეშა სასწაულის ბგერით ილუსტრაციას შეესატყვისებოდა. მღვიმის მუსიკალური ილუსტრაციის იდეა ეკუთვნოდა ოთარ თაქთაქიშვილს.

არასოდეს დამავიწყდება მისი სოხუმში სასწრაფოდ ჩამოსვლა, როცა პერსპექტიული პიანისტის პარის დიმიტრიადის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი შეიტყო. მაშინ პარისის მამა - ოდისეი დიმიტრიადი ქვეყანაში არ იმყოფებოდა და ოთარ თაქთაქიშვილი ოჯახს გვერდით დაუდგა, როგორც მეგობარი, მოქალაქე, მინისტრი. ამ დროს დაუახლოვდა იგი ცნობილ აფხაზ ქირურგს გიორგი ნესტორის ძე ემხვარს და მის მეუღლეს ვალენტინა ვასილის ასულს. ეს სიახლოვე შემდგომ მეგობრობაში გადაიზარდა და მათი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გაგრძელდა.

ბატონი ოთარი თითქმის ყოველწლიურად ისვენებდა სოხუმში, მინისტრთა საბჭოს აგარაკზე, რომელიც წარსულში მემამულე სმეცკოის ეკუთვნოდა. ყოფილი მეპატრონის ფანტაზიისა და შრომის ნაყოფს წარმოადგენდა ბაღი - აფხაზეთის ერთ-ერთი და მე ვფიქრობ, მთელი დედამიწის ზურგზე ულამაზესი ადგილი, სადაც თავმოყრილი იყო უნიკალური მცენარეები მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ბაღს გასაოცარი აურა ჰქონდა (სხვათა შორის, ახალგაზრდობის წლებში აქ დასასვენებლად ჩამოდიოდა სერგეი პროკოფიევი, რომლის დედა და სმეცკოის მეუღლე გიმნაზიის მეგობრები ყოფილან). როცა ვთქვი, აქ ოთარ თაქთაქიშვილი ისვენებდა-მეთქი, სწორად ვერ გამოვხატე სათქმელი, რადგან Dolce farniente - ტკბილი უქმე მისთვის არ არსებობდა. აფხაზეთის ცის ქვეშ მისი არაერთი ნაწარმოები ჩაისახა და დაიწერა.

ოთარ თაქთაქიშვილს თავის შემოქმედებაში აფხაზური ფოლკლორი არ გამოუყენებია. გამონაკლისს წარმოადგენს რიგი საფორტეპიანო და საგუნდო ნაწარმოებებისა და სიმღერა „ვარადა“, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მის შემოქმედებაში. საკმარისია გავიხსენოთ ციკლი „გურული სიმღერები“ და ოპერა „მთვარის მოტაცება“. ის ფაქტი, რომ ოთარ თაქთაქიშვილმა ამ ოპერაში კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებთან ერთად აფხაზეთის თემას მიმართა და დედამიწის ზურგზე ულამაზეს ამ კუთხეში მცხოვრები ადამიანების ცხოვრება უჩვენა, ბევრ რამეზე მეტყველებს, უპირველესად კი ამ მხარისა და ხალხისადმი კომპოზიტორის სიყვარულზე.

ანდრია ბალანჩივაძე

ანდრია ბალანჩივაძეს აღაფრთოვანებდა აფხაზეთის ბუნება. 30-იანი წლების მეორე ნახევარში აფხაზეთში პირველი ჩამოსვლის შემდეგ ის არ წყვეტდა ურთიერთობას ამ მადლიან და ბარაქიან მხარესთან. იყო პერიოდი, როდესაც ის სამუდამოდ აფხაზეთში დასახლებაზეც ფიქრობდა. ეს იყო მას შემდეგ, რაც სოხუმში პატარა აგარაკი შეიძინა. ერთსართულიანი სახლი შუქურას რაიონში, თავისი წაგრძელებული ფორმით გემს მოგაგონებდა. სახლიდან გამოსული კომპოზიტორი გაივლიდა თუ არა ოც-ოცდაათ ნაბიჯს, სანაპიროს ნიშნულთან აღმოჩნდებოდა და მის თვალწინ იშლებოდა მარად ცვალებადი მძლავრი სტიქია. ყოველ გაზაფხულზე, ანდრია ბალანჩივაძე რამდენიმე დღეს მაინც გამოითავისუფლებდა ხოლმე თავს, რათა ჩამოსულიყო სოხუმში, მოესწრო თავისი პატარა ვენახის გასხვლა, დამტკბარიყო ციტრუსების ღვთიური სურნელით, ფოთლების ჩრდილში ციცინათელების ნათებითა და ვარსკლავებით მოჭედილი უძირო ზეცით.

აფხაზეთში ჩამოსვლისას ანდრია ბალანჩივაძე გაეცნო ძმებს ივანე და მიხეილ ლაკერბაიებს, რომლებიც აფხაზეთში მის მეგზურებად იქცნენ. ივანე ლაკერბაიამ, შემდგომში ცნობილმა მელოდისტმა - კომპოზიტორმა, ანდრია ბალანჩივაძეს აფხაზური ხალხური შემოქმედება გააცნო.

ანდრია ბალანჩივაძემ 1939 წელს მიხეილ ლაკერბაიას სიუჟეტის მიხედვით დაწერა ოპერა „ბედნიერება.“ „ქეთო და კოტეს“ შემდეგ ქართულ მუსიკაში ეს იყო პირველი ლირიკულ-კომიკური ოპერა. მისი სიუჟეტი დაკავშირებულია აფხაზეთთან. ამ ოპერაში პირველად აჟღერდა საოპერო ინტერმეცო „რიწის ტბა“. ის შედგებოდა საინტერესო ნომრებისაგან, მათ შორის იყო, გუნდი „მიყვარხარ შენ, მშობლიურო აფხაზეთო“.

პირველ ოპერაზე მუშაობისას ანდრია ბალანჩივაძემ იმოგზაურა აფხაზეთში, სადაც აფხაზური სიმღერები ჩაიწერა. ის არა მხოლოდ თავისი შემოქმედებით, არამედ მოღვაწეობის სხვა მხრითაც იყო დაკავშირებული აფხაზეთთან - ზრდიდა ეროვნულ კადრებს, იყო აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის შექმნის აქტიური მონაწილე.

ხალხი მის ასეთ გულწრფელ დამოკიდებულებას კეთილი გრძნობებით პასუხობდა. 80 - იანი წლების დასაწყისში საქართველოსა და აფხაზეთის კომპოზიტორების დიდი, ერთობლივი თავყრილობა „აფხაზური და ქართული კულტურის კვირეული“ შედგა. დაგეგმილი იყო კონცერტები აფხაზეთის რაიონებში. ანდრია ბალანჩივაძე მეშახტეთა პატარა ქალაქ ტყვარჩელში გაემგზავრა. მე სხვა რაიონში ვიყავი კონცერტზე. მეორე დღეს, როგორც ყოველთვის, თავის განუყრელ პაპიროს „ყაზბეგს“ აბოლებდა და ჰყვებოდა იმ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებზე, რომელიც მასზე ამ თითქოსდა მიყრუებული ქალაქის მშრომელებთან შეხვედრამ მოახდინა. თურმე, როცა ანდრია ბალანჩივაძე სცენაზე გამოსულა თავისი ნაწარმოების - „რიწის ტბის“ სადირიჟოროდ, მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვედრია მაყურებელი. დარბაზი ფეხზე ამდგარი შეგებებია და მისთვისაც ნათელი გამხდარა, რომ მას იცნობდნენ, უყვარდათ და აფასებდნენ.

ეს იყო ისეთი უბედნიერესი და დაუვიწყარი დღე, როგორიც შემოქმედს ცხოვრებაში, შესაძლოა, არც თუ ისე ხშირად ხვდეს წილად.

მუსიკოსთა ჯგუფი. პირველ რიგში: მერი დავითაშვილი, ანდრია ბალანჩივაძე, გოგი ცაბაძე, გიორგი თევზაძე

ნათია თოდუა: ეს წარმატება დავიმსახურე სწორედ იმის გამო, რომ აფხაზეთიდან ვარ!

მაია შონია

„იმ რეალობამ, დაბრკოლებებმა და მავთულხლართებმა, რომლებსაც ჩემთვის თითქოს ხელი უნდა შეეშალათ, ხელი შემიწყვეს ვყოფილიყავი ის, რაც ახლა ვარ. იმხელა ჟინი და ძალა მომცეს, რომ ამის სიტყვებით გადმოცემას ვერ ვახერხებ, ამიტომ სიმღერის დროს ვუშვებ მთელ ამ ემოციას და ვთავისუფლდები!“ - თქვა ნათია თოდუამ გაზეთ „ჩემი აფხაზეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

სწორედ ამ ჟინისა და ძალის მეოხებითაც აღმოჩნდა ნათია თოდუას ქართული ხმა ასე გამორჩეული არა მხოლოდ მუსიკალური კონკურსის - გერმანული „Voice-ს“ ჟიურის წევრებისთვის (მათ გადაწყვეტილება სულ რამდენიმე წამში მიიღეს), არამედ გერმანიის ფარგლებს გარეთაც და ინტერნეტსივრცეშიც. კონკურსის მეორე ტურზე ნათიას უკვე ათასობით გულშემატკივარი ჰყავს მთელი მსოფლიოდან, რაც მას დაუღალავი შრომისთვის საოცარ სტიმულს აძლევს, თავდაჯერებას მატებს და სიტყვა - იმედგაცრუებას საერთოდ ავიწყებს. თუმცა როგორც თვითონ ამბობს, მთავარი სტიმული მაინც მისი ოჯახი, დღემდე გამოვლილი ურთულესი გზა და აფხაზეთია.

გზები ნათიას ცხოვრებაში პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც რთული იყო. ის დევნილთა იმ თაობას განეკუთვნება, რომელიც თბილისში (1996 წელს) დაიბადა, მაგრამ მისი ბედი თანატოლებისგან განსხვავებული აღმოჩნდა.

ნათიას ოჯახი მძიმე სოციალური პირობების გამო იძულებული გახდა გლდანის დევნილთა საერთო საცხოვრებლიდან ისევ კონფლიქტის ზონაში, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში მიტოვებულ სახლს დაბრუნებოდა. ნათიამ იცხოვრა ისეთ აფხაზეთში, რომელშიც სიცოცხლე სულს ღაფავს და განვითარებისა და წინსვლისთვის არანაირი პირობა არ არსებობს. ბევრისთვის ცხოვრების ასეთი გზის გავლა გადაულახავი დაბრკოლება აღმოჩნდებოდა, მაგრამ ნათიასთვის სწორედ კონფლიქტის ზონაში ცხოვრება, დედაქალაქისკენ მომავალი მავთულხლართებითა და უამრავი ხელოვნური ბარიერით დამძიმებულ გზაზე სიარული გახდა მთავარი სტიმული, რომ ძალა მოეკრიბა. მისმა ძალისხმევამ კი საბოლოოდ არა მხოლოდ ენგურის ხიდზე არსებული რუსულ-აფხაზური „საზღვარი“, საქართველოს საზღვრებიც გაარღვია.

თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. თუმცა ერთ ხანს მისი ცხოვრების მთავარ შთაბეჭდილებად ნაბაკევში ოჯახთან ერთად შესრულებული მეგრული ჰანგები, შემდეგ კი თბილისში ბიძასთან სტუმრად ყოფნისას ჯაზის, ბლუზისა და სოულის დიდ შემსრულებელთა მოსმენა რჩებოდა. თანდათან გამოიკვეთა, რომ სწორედ ეს გატაცება სიმღერა იყო მისი არსებობის და თავის გატანის ერთადერთი საშუალება. ის თბილისის ბარებში ჯგუფ „ვაკის პარკთან“ ერთად სიმღერით არჩენდა ოჯახს. 2014 წელს ქართული „X-ფაქტორის“ მონაწილე გახდა, მოგვიანებით (2015 წელს) უკრაინულ „X-ფაქტორშიც“ სცადა ბედი, მაგრამ წარუმატებლად. 2016 წელს ნათია ,,AU-PAIR“-ის პროგრამით გერმანიაში წავიდა. მიზანი ენის შესწავლა და სწავლის მუსიკალურ აკადემიაში „singer-songwriter“-ის ფაკულტეტზე გაგრძელება იყო. იქ კი მასპინძელი ოჯახის დაჟინებული თხოვნით გერმანულ „VOICE“-ში სცადა ბედი. მისი სტატუსი და ვიზა კონკურსში მონაწილეობის უფლებას არ აძლევდა, მაგრამ ჯერ კიდევ შესარჩევ ტურში მისით მოხიბლულმა ჟიურიმ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ნათია კონკურსის მონაწილე გამხდარიყო. სასწავლო ვიზის აღებაში მას თბილისში, ბარში სიმღერისას გაცნობილი ნათია მხეიძე და მისი გერმანელი მეუღლე რაინერ შმიტი დაეხმარნენ. მუსიკალური კონკურსის პირველი ტურის შემდეგ ის უკვე გამორჩეული ხმის ტემბრისა და განსაკუთრებული შესრულების მანერის მქონე მუსიკოსია და ინტერნეტსივრცის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შემსრულებელი (გერმანულ „VOICE“-ში შესრულებულ სიმღერას - „I put a spell on you“ ათიათასობით ნახვა აქვს ინტერნეტსივრცეში), რომელიც კონკურსის მეორე ტურისთვის ემზადება და მსმენელს კიდევ უფრო საინტერესო სანახაობას ჰპირდება.

გაზეთ „ჩემი აფხაზეთთან“ საუბრისას ნათია თოდუამ თავის თანატოლ დევნილებს და დღემდე აფხაზეთში მცხოვრებ ახლობლებს მიმართა:

- როდესაც ჩემს წარმომავლობაზე მეკითხებიან, ყოველთვის ვამბობ, რომ აფხაზეთიდან ვარ. ამით სულაც არ ვცდილობ ვინმეში სიბრალულის გრძნობა აღვძრა. არც ის მინდა, რომ ვინმემ მოიწყინოს ან გულდაწყვეტილმა ისმინოს ჩემი სევდიანი ისტორია. პირიქით, „მე ნათია თოდუა ვარ აფხაზეთიდან“ ნიშნავს იმას, რომ დღეს თუ ეს წარმატება დავიმსახურე, სწორედ იმის გამო, რომ აფხაზეთიდან ვარ! მე იმ რეალობამ, დაბრკოლებებმა და მავთულხლართებმა, რომლებსაც თითქოს ხელი უნდა შეეშალათ, ხელი შემიწყვეს ვყოფილიყავი ის, რაც ახლა ვარ. იმხელა ჟინი და ძალა მაქვს, რომ ამის სიტყვებით გადმოცემას ვერ ვახერხებ, ამიტომ სიმღერის დროს ვუშვებ მთელ ამ ემოციას და ვთავისუფლდები!

- შენი თანატოლი დევნილებისთვის უკვე წარმატების მაგალითი ხარ. რას ურჩევ მათ?

- თავი სიზმარში მგონია. ყოველდღე ინტერვიუები და გადაღებები მაქვს, სიუჟეტები კეთდება ჩემზე. ვემზადები შემდეგი ეტაპისთვის. ვიცი, რომ ეს სტატია ჩემი თანასოფლელებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი არ იქნება, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი წაიკითხავს მას, ძალიან ბედნიერი ვიქნები და მოგმართავთ თქვენ, ჩემო საყვარელო ხალხო, ჩემო გმირებო, მიყვარხართ იმიტომ რომ დღემდე იქ რჩებით და თქვენი იქ ყოფნაა მთავარი პირობა იმისა, რომ არ ცარიელდება ჩემი ბავშვობის ქუჩები და ეზოები. ყველაფერი კარგად იქნება!

- გარდა იმისა, რომ ემზადები კონკურსის მეორე ტურისთვის, რა გეგმები გაქვს სამომავლოდ? აპირებ თუ არა შენი მიზნის მიღწევას - კლასიკური, აკადემიური მუსიკალური განათლების მიღებას?

- ამჟამად ჩემი ოჯახის ხელშეწყობით, ვისთანაც ვცხოვრობ, ინტენსიურად ვემზადები გერმანულ ენაში. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ უმაღლეს სასწავლებელში გამოცდაზე გასვლის ნება დამრთონ. ეს პროცესიც თუ წარმატებით ჩაივლის, კიდევ ერთი ოცნებაც ამიხდება - ვისწავლი გერმანიის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში და გავხდები ჩემი საყვარელი საქმის პროფესიონალი.

- საქართველოში ყველა აღფრთოვანებულია შენი წარმატებით. როგორი რეაქცია აქვთ გერმანიაში?

- გერმანიაში ჩემს გამოსვლას ისეთი კარგი შეფასებები მოჰყვა, ჟიურისა და ხალხის რეაქცია ჩემი ხმის ტემბრზე და შესრულებაზე ისეთი იყო, რომ გაოცებული და გაკვირვებული ვარ. ხალხის მხარდაჭერა წარმოუდგენლად დიდია, რაც მაძლევს ძალიან დიდ იმედს, ძალას და სტიმულს იმისთვის, რომ ბოლომდე დავიხარჯო და მაქსიმუმი გავაკეთო. თუ პროექტის ფინალში მოვხვდი, ეს ჩემთვის იქნება გამარჯვებაც და უდიდესი შანსი ევროპის მასშტაბით მოქმედებისთვის.

- საქართველო და აფხაზეთი როგორ მოჩანს ამ „მასშტაბებში“?

- ჩემი ცოდნა და გამოცდილება მსურს იმ ადამიანებს გავუზიარო, ვისაც ეს ძალიან სჭირდება და ამ მიზნით აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში, მაგრამ არ ვიცი, ეს როდის იქნება.

„გავიღრმავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიაზე"

ქეთი დავითაია

ასე ჰქვია პროექტს, რომლის განხორციელებაც წლეულს, ოქტომბრიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ დაიწყო. პროექტი მიზნად ისახავს მოსწავლეებში აფხაზეთის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გაღრმავებას.

,,გავიღრმავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიის შესახებ" მოიცავს ლექციების ციკლს საქართველოს ისტორიაზე აფხაზეთის ჭრილში - ანტიკური პერიოდიდან დღემდე. პროექტი საპილოტეა და მისი მიზანია ქ. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებში აფხაზეთის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გაღრმავება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროექტის განხორციელების მიზნით თბილისის 5 (ხუთი) საჯარო სკოლა შეარჩია (№55, №147, №31, №112, №157).

პროექტის მხარდამჭერია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას უზრუნველყოფენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურები.

მთლიანობაში პროექტში მონაწილეობდა 200-მდე ახალგაზრდა. სალექციო კურსს ხელმძღვანელობდნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: **ბეჟან ხორავა, კახა კვაშილავა და დაზმირ ჯოჯუა,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **ედიშერ გვენეტაძე.** მათთან ერთად პროექტის ფარგლებში აფხაზეთის ა/რ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ლექციები წაიკითხეს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა **ირაკლი გელენავამ** და უფროსის მოადგილემ ხელოვნებათმცოდნე **გიორგი პატაშურმა.**

პროექტის შემაჯამებელ ეტაპზე ჩატარდა მცირე კვლევა, რომელიც ორგანიზატორებს შესაძლებლობას მისცემს განსაზღვრონ პროექტის განვითარების პერსპექტივები. კვლევამ ცხადყო, რომ პროექტი წარმატებულად წარიმართა, რის საფუძველზეც გაისად აფხაზეთის თემაზე ახალგაზრდული კონფერენცია ჩატარდება.

„საერთაშორისო ოლიმპიადა პროგრამირებაში ილია ვეკუას თასზე" - 2017 დასრულდა

ხათუნა შონია

ევროპის უნივერსიტეტში „საერთაშორისო ოლიმპიადა პროგრამირებაში ილია ვეკუას თასზე" - 2017-ის დახურვის ცერემონია გაიმართა. ოლიმპიადა 2007 წლიდან ტარდება. 2014 წლიდან კი მისი მხარდამჭერები გახდნენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

ოლიმპიადა წლეულსაც ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით, საქართველოს ბანკის გენერალური სპონსორობითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა. მის დასკვნით ნაწილს ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტნომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დიმიტრი ჯაიანი,** საქართველოს ბანკის წარმომადგენლები, სტუმრები უკრაინისა და რუსეთის უნივერსიტეტებიდან.

საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ სტუდენტი და სკოლის მოსწავლე პროგრამისტები საქართველოდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და სომხეთიდან. ამასთან, ოლიმპიადა ამავე ქვეყნების სხვადასხვა ქალაქში პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა. ოლიმპიადის დასკვნით ნაწილზე ოლიმპიადის მონაწილე სტუდენტებსა და მოსწავლეებს, ასევე გამარჯვებულ გუნდებს, სერთიფიკატები და შესაბამისი პრიზები გადაეცათ. ოლიმპიადის ყველაზე წარმატებული მონაწილე კი ილია ვეკუას თასით დაჯილდოვდა.

კარიერის სწორად დაგეგმვის მიზნით

ანა ქაჯაია

აფხაზეთის მეორე საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეებმა სკოლის დირექტორის ნანა ჯალაღონიას ხელმძღვანელობით პროფესიული კოლეჯი „იკარუსი" დაათვალიერეს.

გასვლითი ღონისძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ქვეპროგრამის „კარიერის დაგეგმვის, პროფესიული განათლებისა და სკოლებში სახელობო-შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობის" ფარგლებში განხორციელდა.

მოსწავლეები კოლეჯში სხვადასხვა პროფესიის - გიდის, ბარმენის, ტურ-ოპერატორის მომსახურების, საკონდიტრო და სხვა კერძების მომზადების სწავლების სპეციფიკას გაეცნენ. ისინი თითოეული პროფესიის თავისებურებით საგანგებოდ დაინტერესდნენ და შესაბამისი შეკითხვებიც დასვეს.

ბოლოს მოსწავლეებმა კოლეჯის სამზარეულოშიც შეიხედეს და იქაური მზარეულების მიერ მომზადებული კერძები დააგემოვნეს.

სპორტი

ძიუდოში აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირი გაიმართა

თბილისში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით და აფხაზეთის ძიუდოს ფედერაციის მხარდაჭერით, ჩაატარა აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირი ძიუდოში 2006-2007 და 2004-2005 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები აფხაზეთიდან: გიორგი კურტანიძე, თემურ ამილახვარი, გიორგი ფოთოლაშვილი, ბადრი ხუსკივაძე, თორნიკე ბეჟიკელაშვილი, ლუკა ხარაზიშვილი, მიხეილ ჩორგოლიანი, თამაზ ნაცვალაძე, მოსე შამანაური, გიორგი თანდაშვილი.

შეჯიბრებაში გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები მედლებით, თასებით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ჭადრაკში აფხაზეთის ღია პირველობის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

ქ. თბილისში, ჭადრაკის სასახლეში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, ამავე სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით და აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის მხარდაჭერით, მოსწავლეთა შორის აფხაზეთის ღია პირველობა ჭადრაკში გამართა. შეჯიბრებაში დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში მცხოვრები მოსწავლეებით დაკომპლექტებული გუნდები და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ხუთტურიანი დაძაბული პაექრობის შემდეგ ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

გოგონებს შორის - ტრადიციულად, უკვე მესამედ, აფხაზეთის ღია პირველობის პირველი და მეორე ადგილები დებმა შელიებმა გაიყვეს, კერძოდ: I ადგილი - ანა შელიამ დაიკავა, II ადგილი - ელენე შელიამ, III ადგილი კი ელენე თოლორაიამ.

ვაჟებს შორის - ასევე ტრადიციულად, პირველი ადგილის მფლობელი გახდა ილია კავკასიძე (მწვრთნელი დავით ზარქუა). ილია ორგზის აფხაზეთის ჩემპიონი, ორგზის ქ. თბილისის ჩემპიონი, თბილისის თასის მფლობელი და სხვადასხვა ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. II ადგილზე ალექსანდრე ბექაური გავიდა, III ადგილი კი ელგუჯა წიტაიშვილს ერგო.

ჭადრაკში აფხაზეთის ღია პირველობაზე საპრიზო ადგილზე გასული მოსწავლეები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, თასებით და მედლებით დაჯილდოვდნენ.

მოამზადა ლელა მიქელაძემ.

აფხაზეთის ნოსტალგიით შთაგონებული მხატვრობა

ყოველწლიური საშემოდგომო გამოფენის შთაბეჭდილებით

მაია შონია

საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების ყოველწლიური საშემოდგომო გამოფენა გაიმართა. გამოფენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს მხატვართა კავშირის და აფხაზეთის ლიტერატორთა და შემოქმედებითი გაერთიანების მხარდაჭერით მოეწყო.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გამოფენის მონაწილე თითოეული ავტორის ბოლო ერთი წლის განმავლობაში შესრულებული სამი ნამუშევარი, რომელთაგან ერთ-ერთი „წლის საუკეთესო ნამუშევრის“ ნომინაციაზე უნდა წარდგენილიყო.

აფხაზეთის მხატვართა კავშირის გამგეობამ ნომინანტების გამოსავლენად შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც საქართველოში სახვითი ხელოვნების დარგში აღიარებული და კომპეტენტური ხელოვანებისაგან შედგებოდა (კომისიის წევრების ვინაობა ფარული იყო).

„წლის საუკეთესო ნამუშევრის“ პრიზი არ გაცემულა, მაგრამ კონკურსში მონაწილე ათამდე მხატვარს წახალისების მიზნით სპეციალური დიპლომები და ფულადი პრემია გადაეცა.

გამოფენას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ელგუჯა (გია) გვაზავა,** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე **გოგი ფაცაცია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დიმიტრი ჯაიანი,** ხელოვნების მოყვარულები, კრიტიკოსები, მასმედია და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ **გურამ ცერცვაძემ** გამოფენის შეფასებისას განაცხადა:

- კომისიის გადაწყვეტილებით პირველი პრემია არ გაიცა. დარჩენილი თანხა სიმბოლურად თანაბრად გადანაწილდა მხატვრებზე, რომელთა შორის არიან: ფერწერაში: დავით კვანტალიანი, ხუტა კვარაცხელია, მამუკა ფიფია; გრაფიკაში: ეკატერინე ქარჩავა; ქანდაკებაში: ვალერი ჯობავა, ნერსე ბაწაში, ელდარ ქავშბაია; ხეზე ჭრა: ირაკლი გოგია; პოპ-არტში: ნანა ფანგანი; მინანქარში: მერაბ ეფაძე; კალიგრაფიაში: ლეილა ბაღბაია. აფხაზეთის მხატვრებთან ერთად მომავალშიც ძალიან ბევრ საინტერესო პროექტს ვგეგმავთ.

გამოფენა და კონკურსი ასე შეაფასეს სტუმრებმა:

ვახტანგ ყოლბაია: - მხატვართა ეს გილდია საოცარი ერთიანობით გამოირჩევა. მათ აქვთ ერთმანეთის გვერდში დგომის განსაკუთრებული უნარი. მათ შეძლეს, რთულ პირობებში შეენარჩუნებინათ საკუთარი სახე. მათი გამოფენები იმართება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. ამიტომ არ გვაქვს უფლება, დავწიოთ ის თამასა, რომელიც თავის დროზე თავად ავწიეთ.

გია გვაზავა: - ვფიქრობ, მხატვარი არის ის, ვინც ბოლო კაპიკსაც კი ფუნჯსა და საღებავში გადაიხდის და არ იფიქრებს, თუ რა ეღირება მისი ნამუშევარი, მილიონი თუ რამდენიმე თეთრი. მხატვრისთვის ხატვა მოთხოვნილებაა. ჩერჩილს ომის დროს შესთავაზეს - ომია და კულტურის სამინისტროს ჩამოვაჭრათ ბიუჯეტიო. ჩერჩილმა უპასუხა - მაშინ რისთვის ვიბრძვითო! ჩვენ ვართ ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც ხელოვნების განვითარებას აფინანსებს. თქვენს ნახატებში სამშობლოს, აფხაზეთის სიყვარული ჩანს. მადლობა მინდა გითხრათ ამ შემოქმედებისთვის. მადლობას ვუხდი საქართველოს მხატვართა კავშირს თქვენი თანადგომისთვის.

დიმიტრი ჯაიანი: - აფხაზეთს უნიჭიერესი მხატვრები ჰყავს. მათი შემოქმედება ჩვენი სიამაყეა. ხელოვნებათმცოდნეებს ვთხოვდი, მეტი ყურადღება მიაქციონ აფხაზეთის მხატვრებს, გვერდით დაუდგნენ, ოღონდ, უკომპრომისოდ შეაფასონ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მხატვრები აფხაზეთში ისეთ ტილოებს ჩაიტანენ, რომლითაც არა მხოლოდ საქართველო იამაყებს.

ელდარ ქავშბაია, მხატვარი: - სულ თან დამყვებოდა იმის სურვილი, რომ ჩემს ნამუშევრებში ფორმა სამ განზომილებაში გადმომეცა.

ჰოდა, უკვე ქანდაკებაც ვცადე და გავაკეთე მოდერნისტული და სტილიზებული ნამუშევარი „დრო და ჰარმონია“. ეს არა იმდენად ქანდაკებაა, რამდენადაც ინსტალაცია. სწორედ ეს ნამუშევარი გამოირჩა, რაც ძალიან კარგია თავდაჯერებისთვის.

დავით ბაძაღუას საიუბილეო გამოფენა სიახლით გამოირჩა

სალომე თორია

საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარის, მხატვარ დავით ბაძაღუას პერსონალური გამოფენა გაიმართა.

გამოფენა დავით ბაძაღუამ თავის 45 წლის იუბილეს მიუძღვნა და სიმბოლურად 45 ნამუშევარი წარმოადგინა. დავით ბაძაღუას შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი თემაა აფხაზეთი. მხატვრის ნამუშევრებს იცნობენ საზღვარგარეთ, სადაც არაერთი გამოფენა ჰქონია. ამასთანავე, მისი ნამუშევრები დაცულია ამერიკისა და ევროპის ქვეყნების კერძო კოლექციებში.

გამოფენის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე დავით ბაძაღუას მიესალმნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია,** აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ელგუჯა (გია) გვაზავა,** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე **გოგი ფაცაცია,** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ზურაბ ხონელიძე,** აფხაზეთის ლიტერატორთა და ხელოვანთა შემოქმედებითი გაერთიანების თავმჯდომარე **მანონ ბულისკერია.**

დავით ბაძაღუას შემოქმედების თავისებურებებზე, მის განსაკუთრებულ ხელწერასა და მუდმივი მაძიებლობის იშვიათ ნიჭზე ისაუბრეს ხელოვნებათმცოდნეებმა **ქეთი ახობაძემ** და **დავით ანდრიაძემ,** საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ **გურამ ცერცვაძემ.** გამოფენის გახსნას უძღვებოდა მხატვარი **ზურაბ ჭედია.**

გამოფენას ასევე ესწრებოდნენ საქართველოსა და აფხაზეთის მხატვართა კავშირების, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები და ხელოვნებისმოყვარულები.

რედაქტორი ნატო კორსანტია

ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია, რუსუდან ემუხვარი